შაბათი, 7 ნოემბერი. 1925 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 15 კაპ.

№№ 17—18 გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება №№ 17—18

# ოქტომბრის რევოლუციის ბელადი



ნ. ლენინი

# მეცხრე ოქტომბრის მიჯნაზე

დიდი ოქტომბრის თვითეულ წლის თავს ახალ გამარჯვების დღეთ ვზეიმობთ. ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრით დაწყებული საქმე მომავალის საქმეა. დრო მის სასარგებლოთ მუშაობს. ყოველ დღეს, თვითეულ თვეს და მით უფრო წელიწადს ჩვენთვის ახალი და ახალი გამარჯვება მოაქვს. ამიტომ შევხარით ჩვენ, როგორც დედა ბავშვის დღეებს, ოქტომბრის ყოველ წლის თავს.

დღეს უკვე ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ხვალ კიდევ ახალი გამარჯვება გველოდება. ამ რვა წლის თავგამოდებულ ბრძოლისა და შრომის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი უზარმაზარ ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათ გადაიქცა. დედამიწის ბურთზე საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა დღეს ერთი ათად უფრო დიდია, ვიდრე მისი ტერიტორიალური მოხ-ზულობა. და ეს მოხდა შინაგან ბრძოლის წყალობით. დანგრეულ და გაჩანაკებულ მეურნეობის კვლავ ფეხზე დაყენებით. ამ მხრივ დიდი დაბრკოლებები გვიძევს კიდევ წინ, მაგრამ უმთავრესი გადალახულია. პირველი სიძნელე, ყმაწვილობის ტკივილები დაძლეულია განვლილი რვა წლით.

ოქტომბერმა აჰყარა მშრომელ ხალხს არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური მონობის ხუნდები. მან გაანთავისუფლა ის ძველი ქვეყნის იდეურ ბორკილებისაგან. ოქტომბრის რევოლიუციამ პირველად მიანიჭა მშრომელთა ხელოვნებას მოქალაქეობრივი უფლება, მან პირველმა იხსნა ხელოვნება გაბატონებულ კლასის ტყვეობისაგან. სალონებსა და გალერეებისაგან, მუზეუმებისა და ციხე-კოშკებისაგან მან ხელოვნება მზის სინათლეზე გამოიყვანა და ჩაქუჩსა და ნამგალს დაუახლოვა.

პირველ ხანებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შეწყდა ხელოვნების მაჯის ცემა. ძველი კულტურა, ძველი მხატრული შემოქმედება, რომელსაც რევოლიუციამ საფუძველი გამოაცალა, ობლათ დარჩა. მის წარმომადგენელთა უმრავლესობას ცხოვრების გაავთრებულ ქიდილში, ბრძოლის ცეცხლით გაყინებულ ბურუსში მხარი ექცა და დუმილს მიეცენ. ახალი ძალები მებრძოლ კლასს აღარ მოეპოებოდა, მას არც ეცალა ამ ძალების ორგანიზაციისა და ხელის შემწყობისათვის. ამიტომ ბევრ შემთხვევაში ახალ კულტურის, პროლეტარულ ხელოვნების გზების ძებნის დროს, ძველი კულტურით გაბოროტებულ, თავმობეზრებულ მშრომელთა მასებში, ბუნებრივათ თავი იჩინა მავნე რეაქციამ, რომელიც გამოიხატებოდა ძველი ქვეყნის მთელი მისი კულტურულ და იდეურ ავლა-დიდებით უარყოფაში.

„მოვიცილოთ თავიდან მთლიანად ბურჟუაზიული კულტურა, როგორც ძველი ნაგავი“; *).

*) Протоколы I-ой Всероссийской Конф. „Пролеткульта", стр. 30.

„ყველაფერი უნდა გადაიყაროს სანაგვე ყუთში, საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ უსმენდენ არა მარტო შალიაპინს, არამედ რომ იქმნებოდეს საკუთარი შალიაპინები და გორკები“ [1]. აი ის, ხმები, რომელიც გაისმოდა ოქტომბრის პირველ წლებში ძველი კულტურის, ძველი ხელოვნების მიმართ. ამ მიდრეკილებამ თავის გამოხატულება ჰპოვა იმ დროინდელ პოეზიაშიც კი.

«Во имя нашего завтра—сожжем Рафаэля,
«Разрушим музеи, растопчем искусства цветы...
«Девушка в светлом царстве грядущего,
«Будет прекрасней Милосской Венеры». [2])

ასე სწერდა ერთ დროს ლენინგრადელი პოეტი კირილოვი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა გაიარა. ხელაღებით მტრული დამოკიდებულება ბურჟუაზიულ კულტურისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ წრეების ერთ ნაწილში, სადი მემკვიდრეობის შეგნებით შეიცვალა.

საბჭოთა კავშირი ფეხზე წამოდგა და წელში გასწორდა ეკონომიურათ. გამარჯვებულმა კლასმა ხმალი ჩააგო და სამოქალაქო ზავი გამოაცხადა. კულტურისა და ხელოვნების საკითხებს განვითარების საფუძველი მიეცა. მოხდა მასსიური ფსიქოლოგიური გარდატეხა არა პროლეტარულად მოაზროვნე ელემენტებში. რევოლიუციისკენ პირი იბრუნეს ხელოვნების ძველმა წარმომადგენლებმა. თანდათან იზრდება და ვითარდება პროლეტარული ხელოვნება და სიტყვაკაზმული მწერლობა.

კულტურული მშენებლობის დარგი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მესამე ფრონტია, რომელსაც დღევანდელ შედარებით მშვიდობიანობის პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სკოლის, წიგნის, თეატრის, მხატვრულ ლიტერატურის, ქანდაკების და ხელოვნების სხვა დარგზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ მიუცილებელ ამოცანათაა მიჩნეული და ამ მუშაობის პრაქტიკიდან სრულიად განდევნილია ბურჟუაზიულ მეცენატობის, ქველმოქმედობის სული. კერძოთ საქართველოს კულტურას და ხელოვნებას არასოდეს არ ჰქონია განვითარების ასეთი ფართე ასპარეზი, როგორც დღესა აქვს. თავის თავათ გასაგებ მიზეზების გამო, ჩვენში ხელისუფლების განწყობილება ძველ მწერლობისადმი ბევრათ ლმობიერი და შეღავათიანია, ვიდრე რუსეთში.

რაც შეეხება ხელოვნების იმ მომუშავეთ, რომლებმაც შეიგნეს მომხდარ ამბების მთელი სიდიადე, მათი ისტორიული აზრი და მნიშვნელობა, რომლებიც მოვიდნენ ჩვენთან ახალი კულტურის მშენებლობის გულწფელად ხელის შესაწყობათ, მათ ხელისუფლება განსაკუთრებულ მფარველობას და მზრუნველობას უწევს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კულტურის განვითარებას საბჭოთა წყობილების პირობებში დიდი მომავალი აქვს. ამის უტყუარი ნიშნები დღესაც უკვე აშკარაა ყველა თვალხილულისათვის. ჩვენ დღეს რუსეთის მერვე ოქტომბერს ვზეიმობთ. საქართველოსთვის ეს ჯერ კიდევ მეხუთე ოქტომბერიც არაა.

ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა საქართველოს რვა წლის არსებობის დღისათვის ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ ეკონომიურ და კულტურულ წარმატების გზით და შესაფერ ადგილს დაიჭერს მშრომელთა სოციალისტურ რესპუბლიკების კულტურულ მიღწევათა ფრონტზე.

ჰანი.

[1]) Журн. „Пролет. Культ." № 6, 1919 г.
[2]) Журн. „Грядущее", 1918 г. № 2.

# ოქტომბერი

1.

ოქტომბერი
ჰბერავდა,
ზღვას და ხმელეთს
ჰსერავდა,
მუშურ-გლეხურ უფლებას
ხმლით და ხიშტით სწერავდა.

2.

ოქტომბერი
ჰბერავდა
წითელ დროშას
ჰკერავდა,
ცის კაბადონს
დილის მზე
სისხლის ფერად
ჰფერავდა.

3.

ოქტომბერი
ჰქროლავდა,
მტერი შიშით
თრთოლავდა,
აჯანყების ყიჟინს
ზღვა-ხალხი გაჰყოლოდა.

4.

დღეს ქუჩები
ირთვება
ოქტომბერის
დროშებით;
მეც გული
მეზვირთება
და წითლად
ვიმოსები.

5.

დღეს ბევრს ეპატიება
ძველი დანაშაული;
გადიშლება იებათ
ხალხის დღესასწაული.

6.

დღეს ბევრს აუტოკდება
ცრემლი სიხარულისა;
ჯავრისაგან მოკვდება
მტერი დაჩაგრულისა.

7.

ვაშა, ვაშა ოქტომბერს,
ვაშა! მრავალჟამიერ!
შვების სიოს ის მოჰბერს
წითელ იმერ-ამიერს.

გ. ქუჩიშვილი.

გ. ქუჩიშვილი.

# ოქტომბრის დღეები

1.

საერთაშორისო იმპერიალისტური ომი სისხლის მორევში ალრჩობდა ყოველივე სიცოცხლის ნიშან-წყალს.

ინთქებოდა და ნადგურდებოდა მშრომელი ხალხის მიერ საუკუნობით შექმნილი სულიერი და ნივთიერი დოვლათი.

— ყველაფერი ფრონტს!—ღრიალებდა გამხეცებული მთავრობა.

— ომი გამარჯვებამდე!—ზანს აძლევდა გაუძღომელი ბურჟუაზია.

მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული.

მოწყალოდ იგლიტებოდა მშრომელი ხალხი.

ულუკმაპუროდ წყდებოდა დამშეული რუსეთის ულარიბესი მასა.

ყველგან ტბები,
ცრემლის ტბები,
სისხლის წვიმა,
სისხლის ზღვები,
ყველგან მკვდრები,
ყველგან ძვლები,
ძვლებზე მინდვრის
ყვავ-ყორნები...

აი მაშინდელი რუსეთის ჯოჯოხეთური სურათი, რომლის დანახვით დანტეც კი ჭკვაზე შეირყეოდა.

2.

წელიწადი წელიწადს მისდევდა.

ომი კი არ თავდებოდა, უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იღებდა.

ხალხთა გაჭირვება უკიდურეს წერტილს აღწევდა.

უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა.

კართოფილისათვისაც კი მთელი დღე და ღამე უნდა მდგარიყო ადამიანი „კუდში", რომ პურის ნაცვლად მიელო იგი ნახევარ გირვანქაზე.

ამ ნიადაგზე დაიწყო ქუჩებში არეულობა.

გაბოროტებული დედაკაცები ამტვრევდნენ დუქნებს და იტაცებდნენ სანოვაგეს.

უწესოების მოსასპობად დაფაცურდა პოლიცია.

დედაკაცები ქვებითა და კეტებით დაერივნენ მათ.

ამ ამბავმა მუშების გამოძახილი ჰპოვა.

საქმე გამწვავდა.

უბრალო არეულობა სერიოზულ დემონსტრაციებათ გადაიქცა.

მთავრობა შეშინდა.

პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა ესროლათ არეულობის ჩამდენთათვის.

დაიწყო შეტაკება ხალხსა და პოლიციელებს შორის.

მრავალ ადგილას მუშებმა იარაღი აჰყარეს პოლიციელებს და ჟანდარმებს.

მთავრობის მიერ გამოწვეული იქმნა ჯარი, მაგრამ დახეთ უბედურობას: ხალხის ნაცვლად ჯარმა პოლიციელებს აუტეხა სროლა.

გაჩაღდა სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა.

პეტროგრადის ქუჩები ბარიკადებით დაიფარა.

გამოწვეულ იქმნენ ყველა პოლკები, მაგრამ ყველა აჯანყებულთა მხარეს გადავიდა.

საგონებელში ჩავარდა მეფის მთავრობა.

მოძრაობა კი იზრდებოდა, ზვირთდებოდა და ედრობოდა უზარმაზარ რუსეთის იმპერიას, და წასალეკად ეხეთქებოდა ხავს-მოკიდებულ თვითმპყრობელობის სისხლიან ტახტს.

ორ უდიდეს სამტრო ბანაკად გაიყო მთელი რუსეთი.

ამბოხების წითელი დროშა აფრიალდა ზღვაზე და ხმელეთზე.

ზარბაზნების გრიალი აზანზარებდა ქალაქებს.

ბარიკადებზე გააფთრებით იბრძოდა მშრომელი ხალხი.

მუშებმა და რევოლიუციონურმა ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს მთელი პეტროგრადი.

დაილეწა სატუსაღოები.

შეპყრობილ იქმნა მეფე და მისი ლაქია მინისტრები.

შესდგა დროებითი მთავრობა.

რევოლიუციის პირველ ცისკარს ყველა ოვაციებით შეეგება.

ყველგან წითელი დროშების ტყე.

ყველგან გამარჯვების პროლეტარული სიმღერების მედგარი გუგუნი.

ყველგან მილოცვები და სიხარულის ცრემლები.

ბურჟუაზია კი ძლევამოსილ მუშურ რევოლიუციას თავის ლაგამს უმზადებდა.

— რევოლიუცია დასრულდა!—ახლა საჭიროა შრომა და წესიერება!—ბრძანებდა ბურჟუაზიის დამქაში კერენსკის მთავრობა.

— არა, რევოლიუცია არ გათავებულა, იგი ეხლა იწყება!—გაიძახოდა უკმაყოფილო პროლეტარიატი.

— დავიღუპებით!—გავნადგურდებით!—ყვიროდა შიშით დამფრთხალი ბურჟუაზია.

— დიახ, თქვენი რუსეთი უნდა დაიღუპოს! თქვენი მოდგმა უნდა განადგურდეს, რომ აშენდეს ახალი წითელი ქვეყანა!—უპასუხებდა აღლვავებული მშრომელი ხალხი.

— რევოლიუცია დასრულდა! თავისუფლება მოპოვებულია!—ამტკიცებდა ცბიერი კლასიური მტერი.

— მართალია, თქვენი რევოლიუცია ბურჟუაზიული რევოლიუცია დასრულდა, მაგრამ ეხლა ჩვენი რევოლიუცია, მუშური რევოლიუცია იწყება!—გრიალებდა შეიარაღებული პროლეტარიატი.

— ძირს ანარქია! გაუმარჯოს წესიერებას! ომი ბოლომდის!—გაჰკიოდნენ შეთანხმებლები.

— ძირს კონტრ-რევოლიუცია! ძირს ომი! მთელი ძალა უფლება საბჭოებს!—გუგუნებდა ბოლშევიკური ლაშქარი.

## ოქტომბრის დღეებში



ნ. ლენინი
ავტომობილიდან სიტყვას ამბობს.

3.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში პეტროგრადის ქუჩებში სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლა იყო გაჩაღებული საბჭოთა ძალაუფლებისათვის.

დღე და ღამე ზარბაზნების გრიალი ისმოდა.

შენობათა სახურავებზე ჩასაფრებული იუნკრობა და ოფიცრობა დაუზოგავად უშენდა ტყვიის მფრქვევლებს ქუჩებში მებრძოლ პროლეტარიატს.

— ამხანაგებო! სახურავებისკენ!—დაიძახა ვიღამაც, და იგრიალა იქითკენ ხალხმა.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა.

მუშებმა და ჯარისკაცებმა იერიშით აიღეს ყველა ის შენობები, სადაც ქურდულად ჩასაფრებულიყვნენ იუნკრები და ოფიცრები.

მათ ხელთ იგდეს ტყვიის მფრქვევლები და სახურავებიდან გადმოჰკიდეს წითელი დროშები.

4.

ხანგრძლივსა და ჯოჯოხეთურ ბრძოლის შემდეგ მთელი პეტროგრადი და მოსკოვი მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადავიდა.

დამარცხებული მტერი იარაღს ყრიდა.

ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობდა.

მილიონ მებრძოლთა გულიდან ამოხეთქილი „ინტერნაციონალი" მეხივითა სჭექდა.

მეორე დღეს დანიშნული იყო ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებისათვის დაღუპულ გმირთა დაკრძალვა საძმო სასაფლაოზე.

დიდება იმათ.

# ეს იყო მაშინ...

(სურათები)

I.

...რევოლიუციის სატახტო ქალაქი...

ოქტომბრის ყომრალი დღე...

ანაცრებული ცა...

არეს წამოუსხავს მხარზე ლეგა მანტია, რომელსაც ქარი გიჟი კივილით უფლეთდა კალთას...

ტყვიის სიმძიმით დაწოლია ქალაქს ჰაერი და, თოფის წამლის სუნი ჰორიზონტზე იქოჩრება...

ქუჩები ასაფეთქებლათ პარაკლისს იხდიან...

შუბლ აბურული ქარხნის ბუხრები ამაყად აღმართულან სივრცეში და უცნაური პოზა შეშლილ საუკუნეებს სჭედს...

ცივა...

ჟინჟლავს...

აწყვეტილ ნებას იალქნები აუშვია, და მსოფლიოს შესატორტმანებლად სადღაც აზარმაცები იჭედება...

ბლმოდებული ურჩი დროშები თავმომწონედ იბერტყენ ყურებს შიშისმგვრელ ბარიკადებზე...

საკინძ ჩამოწყვეტილი გუშაგები, ლურჯ ხალათებში, ელვის ზარმცემად აჩენენ რკინისფერ მკერდს...

აყირავებული ტრამვაის რონოდა ნებივრად სთვლემს მოუსვენარ ლეგენდებზე...

უთვლო ეტლები ემდურებიან ჭლექ ცხენებს და, მთვრალ ავტომობილებს იწვევენ ჭირვეულ სუფრაზე...

ცის თაღზე ხდება ჯვარცმის გარდამოხსნა და, ელავს შრომის სიმბოლო, ბრძოლის საკურთხეველზე...

გამარჯვების მაუწყებელი კოცონი გიზგიზებს ბასტიონზე...

ჩაქუჩ და ნამგლის ყვავილოვან გვირგვინში, დაფნის შტოებზე ბრწყინავს ხუთქიმიანი ვარსკვლავი შეტევის კონცერტით...

ტყვისმფრქვეველების სალამური...

ქვემეხების დაირა ..

ზამბახების ტაში...

უჩვეულო მუსიკა...

— ვინაა დირიჟორი?

— მოდის!

— ქუდები მაღლა!..

— სალიუტ!..

— სალამი მარცხნით!

ოქტომბრის ფონზე აღმართულ ტრიუმფალურ არკაზე გამოჩნდა:

კომუნა, თმის გადავარცხნით!..

II.

ზღვა აზარფეშით ალავერდს ეუბნება აჯანყებულ კრეისერს და, გულამღვრეული ტალღები, ბარბაშა ზვირთებით, საცეკვაოდ იწვევენ მეზღვაურებს...

ელვარ ხიშტებით გადმოდგა ყაზარმა ახალი ქარტის საგუშაგოზე...

ჰაეროპლანი კამარას ჰკრავს სიკვდილის ზოლზე, და ძველ სამყაროს კვარცხლბეკზე თუჯის პროფილები ახალ მარჯნის საკრიალოსნოდ სთვლიან ალმოდებულ მძივებს...

ლოცვად ეშვება სასახლე მუხლებზე, და ქოხი უსურვებს გზამშვიდობისას დავიწყების სარეცელზე...

უნდო დროება კარნავალს აწყობს, და, სალტო მორტალეს გადადის სახრჩობელაზე...

მზე სადღაც ემზადება პირბადის ასახდელად, რათა ლალის ბაგენი, სადაფით კბილთჩენით უძღვნას თავდადებულთა უბანს...

ატლას ლოყებზე, მორცხვი იერით, დასთამაშებს საპატარძლო გაუბედაობა, და დაბლა ეშვება აბრეშუმის ნაწყვეტები სისხლისფერ ჰამაკად..

ბრძოლის ყიჟინით ათქვირებული გაჰკივის ყრმა, და,

— საიდან იშვა?

ათრთოლებული გაისმის კითხვა.

საიდუმლოთა გზა-ჯვარედინზე იკლაკნებიან უდავო უფლებები...

ყრმა კი...

ჰამაკში: ფუნჩულა ხელებს მოუსვენრად იშვერს მაღლა და მსოფლიოს ხუთივე მატერიკს გულში ჩახუტვით ემუქრება...

წითელი ფერიები ფერხულს უვლიან გარს, და უამბობენ უკვდავ რომანს მარადიულ სილამაზის ქნართა სიმთ ჟღერით...

გაისმის ჰიმნი მათრობელა, ვით შეყვარებულთ პირველი აჩირაღდნება უნეტარეს ხეივანში...

ბროლის აუზით შადრევანი სცემს სურნელებას...

შეშლილ დღეებზე, აფეთქებულ ხანძარში, ღმერთთა ბანაკი თავდაყირა ოთურმას სწავლობს...

შიშით აყრილა...

ჯამბაზი საუკუნის ეკრანზე ბიბლიის ფურცლებიდან მზადდება კინოლენტა ახალი ძიებით...

III.

მწუხრი..

სიჩუმე...

სულგანაბულ მწუხარებას ცხენთა ფერხთ თქარათქური არღვევს..

ნესტოებ გაგანიერებული ცხენები, ოხშივარ ავარდნით, დააქროლებენ ჰუსარებს...

ქვეითი რაზმები უგულოდ უტევენ, მაგრამ: საშინელ ბრძოლაში მაინც ეცემა მუშა, ბარიკადზე...

ტყვიით ნაფლეთი წმიდა დროშა ესალმება ჰრილობაზე...

ანცი სიო ტახტრევანს უმზადებს გმირს თავის ფრთებზე...

ზარბაზნით დანგრეული ბარიკადები შურისძიების კარაბადინებს ჰფურცლავენ...

ალეწილ გუმბათებზე გადმოღუნული ჯვრები უკანასკნელ ანდერძს ეუბნებიან უდაბნოთა ციკლონზე ამღვრეულ კალთას და თვალი რჩებათ დაუღალავ ქარავანებზე, რომლებიც ამაყად მიაბჯინებენ ოაზისებისაკენ...

ღამეა... „ავრორა“ მდინარის შესართავიდან ემუქრება მიმავალ თეთრ ხელთათმანიანთა უკანასკნელ შტაბს...

პირდაღებული ქვემეხები ელიან ბრძანებას...

და...

მეზღვაურები, მხიარულ ყიჟინით, წინ მიიწევენ...

ქალთა დამკვრელი ბათალიონი ამაოდ სცდილობს სახის მეტამორფოზას...

იუნკერთა დამცინავ პროფილს ასევდიანებს უკანასკნელი ავტომობილი, პროსპექტზე..

და...

მიაქროლებს დანჯღრეული მანქანა ქუდგადაგლეჯილ მინისტრებს...

აქსელბანტებზე აჯაგნული ეპოლეტები ორდენებით ჰკიდია, აკიდოთ, ეშაფოტის მოაჯირზე ..

უკანასკნელი ბრძანება:

— ასეულო, ნაბიჯით იარ!

— ერთი! ორი! სამი!

— სდექ!

— ბარიკადებზე, ხშირი ცეცხლი: თაფ!!!

სიჩუმე აფართქატდა...

შიში...

ჯარი შედრკა...

ბრძოლაზე უარი, და:

და ხიშტებზე აელვდა წითელი ხელსახოცი..

ამაზრზენ ჟრუანტელის მომგვრელად დაიგუგუნა ცეცხლმოკიდებულმა სიტყვამ:

— ამხანაგებო!..

სამსხვერპლო სვეტზე რიგს ელიან ლეგენდარული ზვარაკები...

შემოდგომის წალკოტში იხატება საგაზაფხულო ნება, ვარდის ღილებიან ქათიბით...

აფირუზებულ სარკეში იზმორება ღრუბელი ანისლულ კალმით...

დაკოჟრებული ხელები ჰფურცლავენ კატაკომბებში ნახულ ახალ მატიანეს კაბადონებს..

IV.

ირაჟრაჟა...

ვარდის თითებიანმა ავრორამ შავი მანტია აუკეცა მიდამოს, და ტრედისფერი ნისკარტით მიუსამძიმრა დილამ ღამეს კუბოს ათლა...

ორი პაწია ბავშვი ფეხაკრებით მოიპარებიან ერთ განაპირა ქუჩაზე...

— შეჩერდით!

ყმაწვილები შიშმა აიტანა...

— ვისები ხართ?

მოესმათ იგივე ხმა, ალერსით...

პატარები გასწორდენ...

— ჩვენ და-ძმანი ვართ. მამა ბარიკადზეა ვერ გავძელით უმისოთ, და...

— დედა კი...

ველარ დაათავეს სიტყვა, ცრემლები მოაწვათ ლუჯ თვალებზე...

— დედა?! რა მოუვიდა დედას?

— აფიცრებმა მოგვიკლეს... დედა, საყვარელი დედა ..

საშინელი ტანჯვა აღიმართა მოსამართლის სავარძელზე, პატარა პაუზით...

— მამას რა ჰქვიან?

— ალიოშა!

— ძია გაგვიშვი...

— ა იმ ბარიკადზე იყო გუშინ...

და, ხელი გაუშვირა ბიჭუნიამ ზარბაზნით დანგრეულ ქარხანასთან ბარიკადების ნანგრევებისაკენ...

— ალიოშა?! ჰმ! წადით, შვილებო, მაგრამ.. არა, შინ მოვა დღეს; დაბრუნდით სახლში, აქ, ვაი თუ გაცივდეთ, და...

— არა, მამასთან გვინდა.

მოჰკურცხლეს ბარიკადისკენ.

— საბრალო ბავშვები!..

აღმოხდა მწუხარედ, მუშა-გუშაგს, რომელმაც იცოდა, რომ ბარიკადზე, პირველად, ალიოშა, მისი ამხანაგი დაეცა განთიადისას...

— ჰოი, ჯალათებო! მალე მოგიღებთ ბოლოს!..

თითქოს თავის დასამშვიდებლათ ჩაილაპარაკა მან, და რკინის მუშტი მოიქნია საზამთრო შენობისაკენ:..

იშვიათმა სტუმარმა, მზემ, გადიძრო ჩალმა და ლეგა ქალაქს წითელი სხივთ კონა გადმოაბნია...

თითქოს მასაც მოუნდა წყვილი ცრემლის დაგორება ოქტომბრის ლამაზ მსხვერპლთა წითელ კუბოებზე, რომელთაც გვირგვინს ადგამდა, ალის ლენტებით, სამგლოვიარო მარში..,

ბრძოლის ხანძარში ალანძული სახეები მიასვენებდნენ თავდადებულ გმირებს...

დედა-მიწა პირს აღებდა მათ შთასანთქავად...

უკანასკნელად ეამბორა, გამარჯვების შარავანდედი, ღვინობისთვეში ატეხილ ჰეროლდებს...

ორი პაწია ფიცს აძლევდა სამარესთან მთვლემარე მშობელთა გაციებულ გვამებს, რომ, ისინი, როცა გაიზრდებიან, ძველი მსოფლიოს გულზე ისეთ შურისძიების ჭიაკოკონას დაანთებენ, რომ თვით ღმერთებიც თავდაყირა გადმოეკიდონ ამაყ ძახილზე...

წელთაღრიცხვის დაგეშილი ქორონიკონები აიზიდა...

იკეცება უსაზღვროება...

სიგიჟემდის მიექანება ძიება...

უალვირო რაშები ჭიხვინებენ და მოუსვენრად სცემენ ძირს ტოტებს, სალაშქროდ გამზადებულ მხედართა სიამედ...

მახვილმა ქარქაშით იელვა მზის დასაკოცნად, და ჯერ არ ჰფიქრობს ბუდეში დაბრუნებას...

მერვე ჰიმნათ გაჰკივის ოქტომბრის ალიწვა, გამარჯვებათა პიედისტალზე...

მერვე სართულით ავარაყებული კომუნა წითელ დროშათა ტევრი ტყით იწყებს სიმღერას...

შრომის მეუფეებს იღიმებს...

უწვდენ მწვერვალებზე იცლება სადღეგრძელო...

ქუჩები ყალყზე დგება...

ბუკი...

— ს...მ...ე...ნ...ა!..

ხ. ერ—ლი.

## ისტორიული ტყვიისმფრქვეველი



ტყვიის მფრქვეველი, რომლიდანაც წითელგვარდიელები უშენდნენ კრემლს, რომელიც თეთრგვარდიელებს ეჭირათ. ინახება რევოლიუციის მუზეუმში, მოსკოვში.

# „მოსკოვი“ ოქტომბერზე.

მოდის „მოსკოვი“ *), მოდუდუნებს გულ-გამოცვლილი
და მოზვირთავე ზღაპარსავით მოაქვს ამბავი:
„იცით ბავშვებო, ერთხელ კრემლი გარდაიცვალა,
იცით ბავშვებო, ერთხელ კრემლმა მკერდი გამართა“..,
დაუღლელ სუნთქვას ვერ უბორკავს ცურვა ნავების,
ვერ უცვლის სახეს გუმბათები გადმოწოლილი,
მოყვები წყნარად და ტალღები ვით ნაწნავები
იკარგებიან დასავალში კვამლის რგოლივით.—
„ერთხელ ქალაქი წამოიჭრა როგორც რაზინი,
მწარე სიცილი მოაჩვენა ძველ სასახლეებს,
გადიხსნა შუბლი ფრთა გამართულ არწივსავით
და უჩვეულო სიძულვილი გულს ჩაისახლა.
აენთო კრემლი და ცალთვალა მზით გადმოვიდა,
გრძელი ქუჩები ამოავსო ამაყ სიტყვებით,
ქალაქს სიმუნჯით ღამის თევა არა შვენოდა
და დილის სუნთქვა ააჟღერა ცხელი ტყვიებით.
გამოჩნდა მთვარე უსიცოცხლო ვით სასაკლაო
მახინჯ ღრუბლებით გამურული და საშინელი,
ქუჩებს ახარა სისხლიანი ხმლის აელვება
ჩაგორდა მთვარე ცის ხალებში, როგორც ხილიფი,
შეწუხებული მიწის სევდით, მიწის დარდებით...
ვინ ვის დაინდობს, გაცვდა სიტყვა ძველი ხმალივით,
სისხლმა შეღება, სისხლისფერი ბაირახტრები...
დედამ დაკარგა ქალიშვილი ქერა თმიანი
ცისფერ თვალებით, რომ გამოჰყვა ქუჩის მედროშეს,
დედამ იგლოვა ქალიშვილი შენ რომ გელოდა,
შენ რომ გელოდა გამარჯვების ამოკვნესებით...
ქარმა დაფლითა შენი დროშის გამოქროლება,
ქარმა იცინა შენ სიკვდილზე ქალო ქაფურავ,
ო, დედა შენი გენაცვალოს მაგ სიყვარულში,
მაგ სიყვარულში ქუჩამ ღამე წამოგახურა
დროშამ შესცვალა შენი დროშა ზურგ მოტეხილი,
მზე დაგაცქერდა გამარჯვებულ კომუნარივით
გადაირბინა შენმა სიტყვამ რვა მთაგრეხილი
და ველზე რჩება შენი სახე შეუდარავი“...
მოდის „მოსკოვი“ მოდუდუნებს გულგამოცვლილი
და მოზვირთავეს ზღაპარსავით მოაქვს ამბავი;
„იცით ბავშვებო, ერთხელ კრემლი გარდაიცვალა
იცით ბავშვებო, ერთხელ კრემლმა მკერდი გამართა“...

ე. პოლუმორდვინოვა.

*) მდინარე.

# ოქტომბრის პირველ დღეებში

...და, ლვინობისთვის ანისლულ ქათიბს
შვენოდა წითელ დროშის ლილები;
ბარიკადების პროფილს,—ცეცხლ ნათიბს,—
დაცვივდენ საკინძ-გალელილები!..

—

ცას გადეკლაკნა ლეგენდის ჯვარცმა,—
ქვართა აევლო სისხლის გუბეებს;
ხოლაქმა ტყვიის იწება ლვართ სმა...
ავრორა ანგრევს ბროლის უბეებს!..

—

ზარი რეკა-ფაფარ ნაყარი ქშუის...
ხუნი სდგას დენთის,—მზის კოცნად მხურთი;
და, ზარბაზანი დაჭრილი ღმუის,—
ყუმბარას ჰხატავს თვის 25.

—

და,.. ტყვიისმფრქვევი—ქუჩის ნოტებზე—
ფლეიტას უკრავს გიჟური მარშით;
ლოფი პა'—დე'სპანს—ბრძოლის ლოთებზე—
ცეკვავს..—ქვაფენილს ეშლება შარში..

—

ზეინარეს მიაქვს სამეფო სკიპტრ—
ტახტი დაუშვა, ძირს, მძლე ჩაქუჩი;
ჯუნგლურ მღერამ ღმერთები იპყრო,—
ჭადღრიალი ბოლმამ, ნაქუჩმა!..

—

შეირყა ქოხით, ფუძე სასახლის,—
პანთეონი ლვრის ცრემლებს, ცახცახით;
—თქვენი პაროლი?!—გუშაგი ახლის
ყველა გამვლელებს, მლიმარე სახით!..

—

სამყარომ პირი იბრუნა ყირად,—
ხმალმა დაარტყა ბეჭებზე ყუა;
ზოდიაქომ ეთერს არ მისცა ქირა...—
ბრბო ვარსკვლავების შუქებზე სტყუა!..

—

ქარხნებმა ბუხრის ასწიეს ანძა.—
ხე აიშალა მაირალთ აფრა;
ხლერა ხანძარის ალმა ალანძა,—
კედთაინამგლა მთვარე ჭიაფრად!..

—

ფარაონების იძრა აკლდამა,—
სამეუფლოის აიხსნა ფარდა;
ბილებაჲსფინქსის აღარ აკლდა მას,
და... სიუკუნეს სარტყელად ჰბარდა!..

—

ყრუ ქვეყნის ბურთი გადახუთქიმდა,
დაკოჟრილ ხელმა ასწყვიტა ნება;
შორი ხმაური ჰიმნს აუწვიმდა,—
მეტეორებით,—რაინდულ ვნებად!..

—

როგორც აკორდის იელვა სიმმა,—
და, აიკიხძა კუპოთა მძივი;
რა დაიკვნესა წყევის ციმციმმა,—
აიბნენ თოვლის ქულები, ცივნი!..

—

ეშმაფორს წასკდა სიცილი, და... აქ
თავმა მშვიდობა უსურვა გზად, ტანს;
[illegible] ავი ფრთებზე თან დააქვს'—
[illegible] გრიმით, ლოცვაზე ატანს!..

მანქანამ სილა გაჰკრა დროებას,—
ხალტემ თავისი უთხრა მარდობა;
და, მიწა დედა ბეწვზე მოება,
რომ აეზიდა ზღვის ჯომარდობა!..

—

მთებმა გადიძრეს ქუდები, ბრაზით,
ლველფის სიტყვებზე ამოყვეს ენა;
მონა—აქამდის ნაკეტი, რაზით,—
თავისუფლების მკერდს მიესვენა!..

—

უსაზღვროება ილამა ქვიშით,—
უცნობ ეტრატზე აბა სიგელი;
ახალ მანიფესტს არ ენდო შიში,—
მკლავზე აეხვა, ალმასით, გველი!..

—

და, ზღაპრულ კონცერტს შვენის არული,
ლანდი ტაშს უკრავს ალის ფერიებს;
ნატვრა ლალ ბაგით მდენი, ფარული,
გმირ ქიმერიელთ არ იგერიებს!..

—

დოლს სცემს ფოლადი, რკინის ზურნაზე'
ისმის: სმენა? თაყ!!!—საფლავი ხვნეშის;
პოლიუსები სწყდება ურნაზე,—
ტვინს ასდის ბული ცხენთა ფერხთ ქვეშით!..

—

მზემ ჩამოუშვა აბრეშუმის თმა,—
ზღვ წევს უცნობი, ყრმა და გიჟმაჟი;
და, აფეთქება, წლის მეათე თქმად·—
ნანას უგალობს მხიბლავ რიჟრაჟით!..

—

ნერვი, დაჭიმვით, იბმის მზის ფონზე,—
და, მიჩაქჩაქებს ბებერი, ხველით;
ბოქსით ზის, სადღაც, ჯალათი, ომზე,—
ჯაშუშს გაუსკდა, ელდით, ხალველი!..

—

და... პირ-ყირმიზა ტრიბუნი იწევს..—
რაზმი ყიჟინებს... და პოეტს ია:
სისხლით უბრწყინავს, გულზე... და, იწევს
მაღლა, ორიონს, წვის პოეზია!..

—

... და, ლვინობისთვის ანისლულ ქათიბს
შვენოდა წითელ დროშების ლილნი;
ბარიკადების პროფილს,—ცეცხლ ნათიბს,—
დარაჯად ეგენ მკერდ გილელონი!..

**ხეზმან ერთაწმინდელი.**

**ნ. ზომლეთელი.**

# ჩემს სოფელს

(ოქტომბრის ყვედრება)

ჩემო სოფელო! შენზე ფიქრები
მე მრავალ სახეთ გამივლის გულში,
მაგრამ მერმისშიც ისე ვიქნები
შენი ერთგული, როგორც რომ გუშინ.
და სამდურავი თუ რამ შეგახო,
იცოდე, რომ მაქვს ამის საბაბი:
მთიდანც კი შურით თვალს გავლებს ახო,
რომ დახვალ ჩოხით და ჭრელი კაბით...
სიმხლეს ყოველს ეხმაურები,
თუმცა თავი ზოგჯერ განზრახ იყრუებ,
გსერვენ, ვით უცხო მოგზაურები,
და ატან ამბებს ტბორიან რუებს...
დღეს ახლო წარსულს ერთს მოგაგონებ
ვიცი, ეს ამ დროს არ არის მეტი,
რადგან ისედაც გიტაცებს, ვგონებ,
შენ წელი ათასცხრაას ჩვიდმეტი!..
ჩაყვითლებული სიმინდის ჩალით
და წაფერდებულ ორსულ ზვინებით
იმ შემოდგომას მიჭუტულ თვალით
შენც ჰვრეტდი ქარის ასისინებით...
თვით ოქტომბერიც იყო ჭყიჟორი
იმ წელს და მშრალი—არც ერთი წვეთი!
თუ ამ ხვედრს ეპყრა ერთი და ორი,
ვერ ასცდა ამას ვერც ოცდახუთი!

ზევიდან გზშავდა ღრუბელი, ნისლი,
და ქვეშ—ორღობის ცივი ტალახი,
მომწვარ მოლს ჰგავდა ქოხებზე ისლი
და ძველს საისლეს—ველზე ბალახი.
მოკრუნჩხულ სევდას დამხმარ თითებით
ქოხებში თავი შეჰქონდა ხაკით
და ცივი ქარი ახითხითებით
დაძრწოდა ხელში გაბზარულ სარკით.
შენ შენის სახის კარგათ არ მცოდნეს
ყილბათ გაცნობდენ სხვების სახეებს,
სდაფნავდი: დავითს, გიორგის, ცოტნეს...
და წელში მოხრილ საკუთარს ხეებს...
ქარს, ცივს ქირს ბევრჯერ ღრმად შეუკურთხე,
რადგან სამშობლოს ეს არ შვენოდა,
თითქოს, ვით შენი ლამაზი კუხე,
მთლად დედამიწას არსად ჰფენოდა...
და გულზვიადათ ეჯექი კერას,
ვით საგუშაგოს მტკიცე დარაჯი,
და ვერ ხედავდი ამ ქვეყნად ვერას,
გარეშე შენი ძველი ფარაჯის.
იხდიდი ქორწილს ღვინით და მჭადით
და თეთრი პურით იყავი მთვრალი;
მასზე ოცნებით და ლაღი მადით
სულ ფურნეებზე გრჩებოდა თვალი.
მაგრამ ფუნჩულა თეთრი სიზმარი
მჭადის სიცხადით გეფანტებოდა
და შემოდგომის მწივანი ქარი
შენს უფერულს ლხინს ზედ აკვდებოდა...
და იყო ლხინშიც გამოძახება
რაიმე უცხო სევდიან ამბის,
და ძრწოდა ასე „თეთრი სახება“:
ნარშის, ციების, თოვლის და ბამბის...
დი ჰქუხდა მეხი „დამფუძნებელი“,
ფუძე კი ყოფას შეერყა ძალზე,
და სენი შენი უკურნებელი,
შორეულ ზღვების ესაფრა წყალზე...
ელოდი... მაგრამ სანამ მოლოდინს
შენს უბირს ქოხში ეღირსებოდი,
ირგვლივ ზამთარი იშლიდა ლოგინს
და ცივი ნესტით შენც ივსებოდი...
იქ კი იბრძოდენ!.. შენს მაგიერად,
ბევრი... ოჰ, ბევრი დაეცა მსხვერპლი!..
არ მოსდევბია ასე ძლიერად
ჯერ ძველს ქვეყანას შთანგავი ცეცხლი!..
დაიწვა იგი და დაიბუგა...
რა დაგრჩენია აქ სანანელი.
ბევრი გინახავს მკვდრის თვალის გუგა
და სულთა ბრძოლაც უკანაკნელი...
მაგრამ თვით „ბრძოლა უკანასკნელი“
იყო ერთი და შენ ის ვერ ნახე,
შენ აგერ სახლში გაუსვი ხელი
და სუსტზე მტრული იჩინე სახე...
ძველი გმირობის წარმოდგენებით
იყავი მთვრალი, იყავი ლაღი,
დრო კი მიჰქროდა შენზე ჰენებით
და ირკვეოდა ცის თალხი თაღი.
სულ სხვა რიგ იგრძენ შენ ოცდახუთი
და ოქტომბერიც სხვა რიგ იხილე..
ოჰ ბევრჯერ იდგა განსაცდელის წუთი,
და ბევრჯერ სცვლიდა მას სიადვილე,
რადგან, რევანში რა თავს იჩენდა,
მყის ჩვენაც ჯავშნით ვიმოსებოდით,
მარცხს გამარჯვებაც წინ მიიფრენდა
და მტერს უსაზღვროთ ვერეკებოდით,..
და ზღვებზე, სადაც ესახლა შენი
სამოლოდინო რწმენის თვალები,
ჩვენ გავიტანეთ ცხოვრების სენი,
ჩვენ იქ გავფანტეთ ბნელი ძალები!..
შენ კი... მაგრამ ეჰ, კმარა ყვედრება!..
მესამე წელზე ძლივს-ღა გეწვიეთ...
ოჰ, ამ შეხვედრას რა შეედრება?
ჩვენშიც ოქტომბერს მით შევეჩვიეთ..
ყოფნის გაზაფხულს შეხვდი დროშებით,
ასე დაიწყე ახალი ერა
და, გულზე მწველი სევდის მოშვებით,
შენც თებერვალმა შიგ ჩაგიწერა.
მას აქეთია აწვები გუთანს
და გულით ელი რკინის ტრაქტორებს...
ეს მოლოდინიც ახლოა გულთან
და შენც უჯერი შენს არატორებს!..
უკვე აქა-იქ შემოსდგა ფეხი
ოქტომბრის რაშმაც რკინის ნალებით,
და მაღლიდან რომ გტუქსავდა მეხი,
დღეს ქოხში იბამ ცეცხლის თვალებით!..
უკვე აქა-იქ შენ იგრძენ იგი,
თუმც იწერ შეიდათ და ნოემბერათ,
მაგრამ ოქტომბრის არის წეს-რიგი,
ჩვენ ვამბობთ ამას და თქვენც ეს გჯერათ!
არ არის ჩვენში ჩვენებ-თქვენობა
და, რა ვქნათ, სიტყვამ თუ მოიტანა?
საერთო არის ჩვენი შენობა
და აქ სხვაობას აზრი აქვს, განა?!.
ქალაქი—სოფელს, სოფელი—ქალაქს
გადაეჯაჭვა, როგორც სწორ-სწორი!
ასე იშორებ დღეს ქუჭყს და ტალახს
და განახლებაც არ არის შორი!..
ჩემო სოფელო! შენზე ფიქრები
კიდევ ბევრი გზის გაძივლის გულში,
მაგრამ მე კვლავაც ისე ვიქნები
შენი ერთგული, როგორც რომ გუშინ!
და სამღურავი თუ რამ შეგახე,
იცოდე, მქონდა ამის საბაბი...
მიყვარს მე შენი ლამაზი სახე,
მორთული ჩოხით და ჰრელი კაბით...

დ. თურდოსპირელი.

# დაუსრულებელი ლეგენდა

თუ შეიძლება ქუდბედიანობა ამ ქვეყნად, ის ბედნიერი იყო, ყისმათიანი.

რომ იტყვიან ჩიტის რძის მეტი თითქმის არა ჰკლებია რა.

მაინც უკმაყოფილებასა ჰგრძნობდა.

ქვეყანა ევიწროებოდა. ბედს ეყელზევითებოდა.

სულს უხუთავდა ყველაფერი.

უკვირდა:

რად იყვნენ მისი სწორები ყველაფრით კმაყოფილნი.

ისინი ჰხარობდნენ, ჰლრეობდნენ.

სამაიობდნენ. მას არ ესმოდა ეს უსაზგო სიამე.

* *

რით გაერთო თავი? უხამსი ცხოვრებით?

მაგრამ განა ცხოვრება კია იგი?

ანტიური ფილოსოფოსი ამბობს:

ცხოვრება შვება უნდა იყოს მშვენიერებაშით.

განა ასეთი შვების მომნიჭებელია ეს ტიალი არსებობა?

ეს არის წუმპეში ფართხალი და სხვა არაფერი.

* *

ეგება ჭეშმარიტებამ გაიტაცოს.

იცით რა?.. იგი გაცვეთილია.

იმაზე უმსგავსი არ არის რა, როგორც მოძველებული ჭეშმარიტება..

მართალია, მას ისევ ჩაჰბღაუჭებიან... ისევ აღიარებენ...

მაგრამ... რა მოუშორებია ადამიანს ისე ადვილად, რომ ეს ძველმანი მოიშოროს...

მას ჯერაც თავი მოსწონს ამ ბრანძებით...

არა, არ დასთმობენ ამ ჭეშმარიტების ფლასებს, ვიდრე ზედ არ შემოაფხრეწ.

* *

ყველიერში ჩვენმა სოფლელებმა ახლაც იციან:

როცა შებინდდება, გააჩაღებენ ცეცხლს..

წალამ-წულამს ააპრიალებენ...

თოფების სროლას ასტეხენ...

შეაგროვებენ ყველა ძველს ცოცხებს და ჩაჰყრიან ცეცხლში.

— ეს ძველი და სხვა ახალი...

— ეს ძველი და სხვა ახალი!..

ამას გაიძახიან და თან მალაყს გადადიან...

ზებრებსაც კი გადაახტუნებენ...

მომწონს ეს ჩვეულება...

სიმბოლიური სახიერებაა...

კაცობრიობის ისტორიაც ჭიაკოკონაა... დაუსრულებელი... მოუბეზრებელი...

როგორც ყველიერში სწვავენ ძველს ცოცხებს... ისე აქ... მსოფლიო ჭიაკოკონაში თამამი სურვილებით ანთებული ახალგაზრდობა სწვავს:

მამა-პაპათა გამელოტებულ პრინციპებს...

დადამბლებულ დევიზებს...

დაკუტებულ ჭეშმარიტებებს...

ასე იყო... ასეა... ასე იქნება...

ახალი მოვლენა მიწის ძვრას უდრის...

სიახლე-შეტორტმანებაა ბებერი სამყაროსი...

ეს მიწის ძვრები—ლოღიკაა მარადისობისა..

ეს ჭიაკოკონობა მშვენიერი გაჩირაღდნებაა ცხოვრების.

* *

მაშ ჭიაკოკონისკენ!..

მოძველებული ჭეშმარიტები ჭიაკოკონას ჩავაბუგინოთ...

ვეთაყვანოთ ახალ, ნუგბარ იდეებს..

* *

იგი უმსგავს აწმყოს ჰბუგავდა იმ გაცვეთილ ცოცხებსავით...

მან იცოდა, რომ არსებობდა ტკბილი მომავალი...

შორით შორს არსებობენ კეკლუცი მწვერვალები..

სწამდა, რომ

იქა სცხოვრობს ქალთა მზე..

იგი ყველა მეოცნებეთა მეუნჯეა...

ქალთა მზეს აქვს მოღადღადე ვარსკვლავთა ხომლი...

ვინც იმ ხომლს მოიპოვებს და ჩამოიტანს დაბლობში, მყის გარდაიქმნება ყოველივე...

დიადი ფერისცვალება მოხდება...

ამოშრებიან ჭაობები...

ყველას გაუბრწყინდება მონისლული გონება...

და გასწევენ მწვერვალებისკენ ალტაცებით... მგზნებარე სულით...

* *

მეტად შორსაა ქალთა მზე... მწვერვალები...

ადვილი როდია მათი მიღწევა...

გადასალახავია: კლდოვანი ქიმები... ქარაფოვანი მთები...

ისეთი ნაპრალებია, რომ ჯიხვებსაც კი გაუძნელდებათ გადახტომა.

ვის რად უნდა ასეთი მიუღწეველი იდეალი?..

უმრავლესობა ჩაბნელებულ ხევ-ხუვებშიაც კარგათ გრძნობს თავსა..

სალტესავით მოკაკული დაფუსფუსებს ჭაობებში...

ისე აქვს ხერხემალი დასახიჩრებული მონური ხოხვით, რომ თუნდა მოიწადინონ, ვერ შესძლებენ წელში გასწორებას...

ვითომც კიდეც ჰლილინებენ რაღაცას...

ზმუილს უფრო ჰგავს...

ბანის მიმცემი—ლამურები არიან...

ნანგრევთა შორის წრიპინით მოფრატუნე ლამურები...

* *

მოაძულა თავი მათმა ზოზინმა... ლაშლაშმა... ამაო დგანდგარმა...

მისი მოყვას-სწორებიც ისევე მოსაბეზრებელი არიან...

უსულონი... გულ-გამოფიტულნი...

ისინი ისევე არაფერს ეუბნებიან, როგორც ის გახუნებული, ბუზებისაგან დაწინწკლული ვიღაცის საოჯახო სურათები, რომლებსაც ვხვდებით იაფფასიან სასტუმროებში... სამიკიტნოებში...

* *

შორეულ მწვერვალების ტრფიალი უფრო გაუძლიერდა, როცა მოისმინა მისს თაობაზე ლამაზი ზღაპარი:

იყო არა ი ო რა...

იყო და ახლაც რის შორს... შორს მთათა მწვერვალებზე ბროლის კოშკი...

იმ კოშკში სცხოვრობს ულის ტურფა...

გაზაფხულის გარიჟრაჟის ლოცვასავით მომხიბლავია მისი ხმა...

ყრმობის ოცნებასავით წარმტაცია მისი ფირუზი თვალები...

იმ კეკლუცზე გამოთქმულია ცქრიალა შაირი:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო...
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო!..

. . . . . . . . . . . . .

რა თამარ?.. რაა ქეთევან?
ვით შევადარო ეთერსა?
ისარს დაუსომ გულს მნახველს,
ხელად დარბოდეს ტყე-ველსა.
ფრანგის ქვეყნები დავაგდე,
მივძარ მოვძარი ზღვებია:
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს
ეგრე რა, შენ რომ გხლებია...

. . . . . . .

ძნელია ამ ტურფის მიღწევა...
საჭოჭმანოა...

ხალხს ისიც კი სწამს, ვითომც მისკენ მიმავალი ბილიკები გადალობილი ჰქონდეს უხამსს... ისა ჰყარაულობს...

თან გრძნეულ თვალს ათამაშებს...

თუ ვინმემ გაიკვლია მისკენ გზა...

თუ მოახერხა იმ თვალის მოტაცება,—

ეღირსება ბედნიერებას...

მზე ქალის გულის მესაიდუმლე გახდება...

სიყვარულის ბელგად მიიღებს ვარსკვლოვან ხომლსა...

* *

ეს ზღაპარი მარტო მას არა ჰსმენია...

ყველგან დანავარდობს მერცხალსავით...

ყოველ ოჯახის ბუხართან ჩაფრინდება და უამბობს ბავშვებს...

როდესაც ყრმათა ფიქრები შეფერიანდებიან ჭრელი ნატვრით,—მშობლები მყის დატანენ:

ეს! ზღაპარია, შვილებო!.. მხოლოდ ზღაპარი... ფუჭი ზმანება...

გულის შესაქცევად გიამბეთ..

არ დაიჯეროთ მისი შესაძლებლობა...

არ გაეტაცვინოთ ქიმერიულ იმედებს...

ტლუ, ლატაკებმა იოცნებონ მასზე...

თქვენ რა გიჭირთ საამისო...

თუნდა არსებობდეს, რად გინდათ ის კოშკი?

რად უნდა შეემსჭვალოთ იმ უცხო ქალწულს?..

რა გაკლიათ?

დოვლითით სავსენი ვართ...

ბედხვავიანები...

დაგვეზარდენით მალე...

ისეთი გვარიან-მზითვიანი ქალეზი შეგრთოთ, რომ შორით თქვენზე აწყდებოდეთ თვალები თქვენს სწორების...

. . . . . . . . . . . . . . .

ლაფანსავით მოქნილია ბავშვის ბუნება...

ადვილათ გადაჰხრი საითაც გინდა. მხოლოდ იშვიათია უდრეკი... უჯათი...

ბავშვებიც იჯერებდნენ მშობელთა „ბრძნულ“ რჩევას...

ცნობიერების კიდობანში არ ინახავდნენ ზღაპარს გულის ხმიერს...

* *

ელოდდა ზღაპრული კოშკი „ტლუ სულელს“...

ელოდდა მას, რომელიც მოიხიბლებოდა მისს ზღუდეებზე საუკუნეთა ხავსით აზიზინებულ თქმულებით...

გაჰბედავდა მისკენ წასვლას...

წლები წლებს მისდევდნენ ქარავანებად...

არავინ სჩანდა კოშკის მძებნელი...

. . . . . . . . . . . . . . . .

* *

ბოლოს, როგორც იყო გამოჩნდა ერთი...

ეს იყო სწორეთ ის მეოცნებე, რომელიც:

ყისმათიანი, ქუდბედიანი იყო...

ძველაფერი ჰქონდა და მაინც უკმაყოფილებას ჰგრძნობდა...

გული ეთანალრებოდა...

ქვეყანა ევიწროვებოდა...

იგი არ შეფიქრიანებულა გზის სიძნელით...

„მსურს და მაშასადამე მივაღწევ კიდეცაო —სთქვა მან...

ვაშა ახალგაზრდობას, რომელიც თავისს ბაგეებს აკეთილშობილებს ასეთი მარგალიტებით...

— ვიწყებ ძიებას და იერიქონის კედლებივით დაითრგუნებიან დაბრკოლებათა ზღუდენიო—ამაყად განაცხადა მან...

არც გაუცრუვდება იმედი...

ძიება და მამაცობა აზარმაცია, რომელიც ბევრ ქვეყანას ყირამალა ამოატრიალებს...

* *

ასეთი ძიების ცეცხლით აღიგზნო ჩვენი ჭაბუკიც...

გაუდგა საბედისწერო გზასა...

არავის შეუმჩნევია მისი თავ-გამოდება...

არავინ გადასდგომია ხელის შემშლელად...

არც ვისმეს მოუნდომებია მისი თანამგზავრობა...

მხოლოდ შესტრფოდნენ:

ქალაქის მცენარეები, რომელნიც ოცნებობდნენ:

მზის ამოსვლაზე... ჟუჟუნა წვიმაზე... გიჟმაჟ ნიავზე... თვით კი იყვნენ:

ქუჩის მტვრისგან დაშაშხულნი...

მდევის ოდენა სახლების ტყეებისაგან დაჩრდილულნი.

ქარხანათა კვამლისაგან შელანძულნი.

მებაღეებისაგან შეკვერცხილ-დამახინჯებულნი.

მათ დასნეულებულ ფოთოლთა შრიალი ფრთა მომტყრეულ მტრედების სავსავით მისდევდა და მიჰღუღუნებდა:

— ბედნიერო...., ბედნიერო,..., ბედნიერო!..

ნეტავი შენ, თავი დაგიღწევია მონობისათვის...

თავისუფალ ცხოვრებისკენ გიქნია პირიო.

მიდიოდა და ეძარცვებოდა ფუსფუსის სასამოსელი...

უკანა რჩებოდა თხუნელებად გადაქცეული მეშჩანობა...

მთებში კი ჰხვდებოდა პანი...

როგორც ნიჭ-მზიანი ხელოვანს მოსიყვარულობით დაჰყავს მეგობრები თვისს ატელიეში...

ჰხსნის დაფარნებს და ათვალიერებინებს სურათ-ქანდაკებებს,—ისე პანი უღებს თვისს სახელოსნოს-ბუნების კარებს და ატკბობს, ათრობს იშვიათი სანახაობით...

ეს ხელოვანი—პანი—მარტო მას კი არ მეგობრობს.

იგი ირგვლივ ჰფანტავს ულეველ სიხარულის ვარდ ყვავილებს...

ბევრს ბუნება უტყვად მიაჩნია... უგრძნობლად... უსულოდ...

საცოდავნი...

ბუნება რომ არა სცოცხლობდეს მაღალი სიცოცხლით—განა ასეთს შემოქმედებას გამოიჩენდა?..

ვინ დაჰხატა ცაზე ვარსკვლავები?

ვინ მოჰქარგა მდელოები ვარდ-ყვავილებით?..

ვინ ააჭიკჭიკა ფრთოსანთა ქვეყანა?.

პანმა... უბადლო სტილისტმა ბუნებამ..

განა უსულო რამ ყოფილიყო, ასე ჯადოსნურად შეაზავებდა საოცნებო ხმებსა და ფერებს?..

* *

მთელი ბუნება სულდგმულობდა... თრთოდა უკვდავ სიყვარულის ეშხით.

ვარსკვლავები, ყვავილები, ნაკადები, ჩიორები—ნაირ-ნაირ ხმებით ამბობდნენ შემოქმედის სადიდებელ ჰიმნებს...

* *

გათამამდა მაძიებელი... ორბის მხნეობა მოემატა...

მაღალ-ქედოვანი გრეხილები გადინავარდა...

ჯავრი მოსდის ხანდაზმით ცივი ქარი რომ წამოუბერავს...

ბრაზობს, როცა მყინვარზე თვალს მოჰკრავს თავლის ზვინებს...

ჰსურს ყველა მთები ვარდებით იყოს დაბარდნილი...

* *

ჰხედავ ტოროლას, დახაშმულ მინდვრებისკენ რომ გაჰკრა კამარა და ენანება...

— სად ხიფრინავ, ტოროლავ, გარიჟრაჟის მგალობელო?...

იქ ბუდრუგანობენ: ზღარბები, თხუნელები მყვარები...

იქ ბუნაგობენ მეცხოვნენი:

სულით ტიფიანები...

გულ-ტურტლიანები...

ფიქრით კუზიანები...

დაგიჭერენ... ფრთებს დაგაჭრიან... გალიაში დაგამწყვდევენ...

შენს მრავალ მუხლოვან კრიმანჭულებს—თავიანთი ჟრიალია „ჩანგი“ ურჩევნიათ...

ვირის ნაწლავებია ზედ სიმებად გაბმული...

ღორის ჩლიქები აქვთ წკირად გათლილი...

* *

თავქვე მსრბოლი წყაროებიც აკვირვებენ.

წუმპელები არ დაინდობენ ბროლ-ბროლებს.

შემწიკვლავენ. ხავსი მოეკიდებათ.

ლორწოიანი გველ-ბაყაყები დაეუფლებიან.

— ნუ. ნუ მიხვალთ ჭაობებისკენ...

იქ სამარეა სილამაზისა... აკლდამაა მისწრაფებათა...

იქ ყოფნის დროს მე სული დამიმძიმდა...

ყველა სიმღერები დამავიწყდა...

კინაღამ შემძულდა ქვეყანა..

მივალ მწვერვალებისკენ, რომ ვიხილო მზე ქალი... მოვიპოვო ვარსკვლავთა ხომლი..

წამოდით თქვენცა.. იქ შევისწავლით ვარსკვლავთა ენას... იქ გავიგონებთ მზეების სიცილს,..

* *

არვინ უგდებდა ყურსა..

დაბლობებისკენ გამალებით მირაკრაკებდნენ...

* *

მარტო განაგრძო სიარული.

სურათი სურათს ერაყიფება... ბუნების ფერები ნაზდებიან... ხმები იდუმალდებიან... ყველაფერი თაიგულობს... ბულბულობს...

შორით შორს ფანტასტიური მთები გადაჭიმულან...

წინაპრებს ყველა ეს ადგილები დასახლებული ჰქონდა წარმართი ღმერთებით:

დალი, ვობია, აგუნა, ომერი, ბური... აშაჰრა... გაცია... ზადენეთ... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ყველა ჩირგვში, თუ წყაროში იგულებოდა დიადი ღმერთი..

აწ მათი ხსენებაც მიმწყდარა... დაუვიწყნიათ...

არც ადამიანთა ჭაჭანებაა..

ამოუკვეთნიათ ფეხი...

ფრინველებიც კი არ ამოდიან ამ სიმაღლეზე..

ხმატკბილობს მხოლოდ სფეროსის სიმფონია მარადისობის წკირით აწკრიალებული...

* *

ღონემ უკლო, მაგრამ არ იმჩნევდა. მიილ-

ტოდა ისე, წ თითქოს ათასი შველის ფეხი ჰქონდეს...

მარტოოდენ ზეჟმინდოვნობდა მთებით აყვავებული ცის დაუსრულე ლობა...

არ იტეხინებდა, მაგრამ დაქანცულობამ მაინც თავისი გაიტანა... ქაქანი დააწყებინა... გული ამოვარდნას უქადდა...

ბუჩქის ჩეროში ჩამოჯდა შესასვენებლად...

იქვე წყარო ამოჩუხჩუხებდა...

წამომუხლისთავდა დასაწაფებლად...

მისს მოსარკულ ლივლივში თვიის ანარეკლი დაინახა...

დღეს პირველად იხილა თვისი სახე მას შემდეგ, რაც მგზავრობა იწყო... შეძრწუნდა... შეწრფა...

შეეშინდა თავისი თავისა...

შესაძლებელი რომ ყოფილიყო საკუთარ „მე“-ს გაექცეოდა...

მომაკვდავის მილეულ გულსავით ათრთოლდა...

საშინელი ცვლილება მომხდარიყო მისს ბუნებაში...

თმები მთლად გაჰთეთრებოდა... წელში მოხრილიყო. მკერდი ჩაჰვარდნოდა. მუდმივ გროვალებს გამოეფიტნა. თვალებში სიჭაბუკის ასხები ჩაჰქრობოდა...

დაბერებულიყო.

* *

ეგონა აქ მთებში უკვდავ სიცოცხლის დღეღოფალს გაუმიჯნურდებოდა...

მისი მშვენიერების ჭაშნიკებით შეზარხოშდებოდა...

ის კი დაბერებულიყო...

სიკვდილის ჩრდილი წამოჰყუდებოდა...

მწვერვალები და სიბერე?..

შანი და სიკვდილი?..

რა უნდა აქ სიბერეს?..

ვინ ამოიყვანა აქ სიკვდილი მაშინ, როდესაც მზე ასე ეშხით კაშკაშებს... სიო ღიღინებს... პანის სალამურიც წკრიალებს და ჭკრიალებს...

არასოდეს ისე არ ენატრებოდა სიცოცხლე, როგორც დღეს...

სიკვდილის ცამნებს უკითხავენ მას მაშინ როცა გამოჩნდნენ ნინატრი გარიჟრაჟების მთიები..

* *

განუცდელ ბედნიერებების მწვერვალები და ასები კი კვლავ მოუწოდებენ...

როგორ ლა წასულიყო?

რა შეჰრჩენია ახალგაზდობიდან?.

გაცრიატებული თვალები... დაღლილი გული...

ვითომ მოჰხიბლავს მზე ქალს?

ან მიაღწევს კი?

ჭაბუკობაში ვერ ეღირსა... მისი სული სამარედ გადაიქცა და იქ დაიმარხა: მისი განუხორციელებელი თამამი სურვილები... აუხდენელი ოქროს სიზმრები... ოცნებათა დაუგეშავი მერნები...

და ახლა?..

ჰა, ჰ, ჰ, ჰა, ჰა!.. ბებერია!.. ბებერი!..

რა მალე შემოჰხარჯია სიცოცხლე...

ჭეშმარიტად მოკლე სიზმარია სიცოცხლე...

* *

განწირვით იკივლა.

არსადა მსმენია დაკოდილი გედის სიმღერა...

ასეთი შემზარავი კი უნდა იყოს...

ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოცნების სანავარდოებს...

შეეალერსა შორს ცის ტატნობზე იების ფრად გავლებულ მთების მწვერვალებს...

იქ... იმ მთებში ნარნარობს მისი უნახავი მზე ქალი... ახ, რატომ აღარ ერჩის ძველებურად გული...

რატომ ახალგაზრდული ქარი აღარა აქვს მუხლებში...

რაღა მადლი აქვს ასეთს არსებობას?..

სჰვრეტდე მწვერვალებს...

ვერ კი ისწრაფოდე მათკენ...

მთელი სიცოცხლე შეალიო იდეალების ძებნას...

მხოლოდ მოხუცობაში მიუახლოვდე...

ცოტა რამ ღა გაშორებდეს...

მცირე ხანიც და მიაღწევ...

ნაგრამ გიმუხთლოს ბედმა...

ღერძი გადაგიტყდეს...

გადაიჩეხო მეხდაკრულ ალვის ხესავით...

ქვითინი მორთო იდეალებზე დაქვრივებულმა მეოცნებემ... უნდოდა საკუთარი თითებით თვალები დაეჩიჩქნა, რომ აღარ ეშზირნა თვისი ხესაობისთვის... მაგრამ, ჩუ!..

ეს რა ხმა ისმის? ეს რა გამოჩნდა?

ოდესღაც მაკბეტს მოეჩვენა, რომ დაიძრა ბირნამის ტყე, მოდის უშველებელი ტყე და მოაშავებდებს მაკბეტისკენ სიკვდილს გარდაუვალს...

აგერ!.. აგერ!.. ახლაც ამოძრავებულან ქედები...

მოდიან ქედები და ზედ ყაყაჩო ღიღილოებივით შეფრქვეული არიან ახალგაზრდები...

მოილტვიან ქედები, მაგრამ სიკვდილი კი არ მოაქვთ, როგორც ბირნამის ტყესა...

ისინი სიცოცხლის დროშებს მოაშრიალებენ...

იმედების მერნებს მოაჭენებენ...

* *

ესენი ახალ მწვერვალთა მაძიებელნი არიან...

მეოცნების სიმამაცეს ისინი დაუმონია...

ანდამატის სიძლიერით გამოუტაცნია...

არავითარი თავი-განწირულება უკვალოდ არა ჰქრება...

არც ჩვენი მეოცნების საქმე ჩამკვდარა...

გზის გამკრძნობნი გამოსჩენიან...

ისინი ბედნიერები იქნებიან...

ისინი ამ უყისმათოსავით მგლოვიარედ არ დასხდებიან განუხორციელებელ მისწრაფებებზე...

მათ გაადვილებული აქვთ მსვლელობა..

გაკვლეული აქვთ პირველი ბილიკი...

არც მარტონი არიან...

ერთმანეთის სიხალისე შეუნარჩუნებს ჭაბუკურ სიჩაუქეს...

* *

და იხიბლება მეოცნებე მათი ყურებით...

აღარ იღვენთება ნაღველად...

ერთხელ კიდევ გაიმართა წელში..

რწმენით ანთებულ მათს სახეს მიაპყრო თვისი დაღლილი თვალები. და მიესალმა გედის ყივილით:

— მომხიბლავო ახალგაზრდობავ!..

შორეულ გარიჟრაჟებით მოთილისმულო...

კვალე... ისწრაფე.. ეძიე...

რა უყოთ, თუ მე ვერ მივაღწიე...

თქვენ სხვა ბედისანი იქნებით...

ჭაბუკობა სასწაულ-მომქმედია..

გამარჯვებით დაგვირგვინდება ძიება..

ახლა კი... მიიღეთ უკანასკნელი ცრემლოვანი სალამი იმისა, რომელსაც სიბერის გამყინავ ფრთების ტყრიალმა მომხიბლავ ლეგენდასავით გაუწყვიტა მწვერვალებისკენ გაბმული პირველი ბილიკი...

. . . . . . . . . . . . . . . .

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ქედებზე მოლაღანე ახალგაზრდობას...

გაჰხედა შორეულ მწვერვალებს, სადაც ვერ აафრიალა მიღწევათა ალამი და...

მშვიდობით მიუღწე ელო სასოებავ!..

შურდულით გატყორცნილ ქვასავით თავშეუკავებლად გადაეშვა ციცაბო კლდეზე.

დაამსხვრა..

დაიჩქვლიფა...

ბარის შვილი ბარსვე დაუბრუნდა მსხვრეული ფრთებით...

* *

რა იქნა მისი ოცნება?..

გაიკისკასა და დილის ნამივით შეეფრქვია ახალგაზრდათა ომახიან ჰიმნებს...

რაღა დაემართა მისს სულს?..

იგი იქცა კვნესის ხმად... ჩაექსოვა ცის სიკამკამეს, ტევრის შრიალს, მწვერვალთა ელვარებას, მთვარის ქათქათს, ნიავის ტიტინს და შეიქმნა ლეგენდა .. ლეგენდა მიუღწევლობისა..

არ დაჰკვირვებიხართ?..

როცა მთვარიან ღამეს ბუნებას ვუმზერთ, რაც უნდა მხიარული ვიყვნეთ—მაინც კაეშნიანად ეწყობა ჩვენი სული...

რატომ ჰხდება ასე?. ალბად იმიტომ, რომ გვესმის ჰაერში გალესილი მაძიებლის გაწყვეტილი სიმღერის თრთოლს და ის გვანაღვლიანებს...

ესეც კია, რომ იმ კაეშნიან ლეგენდაში მელოდიაც გაისმის... იების სიცილსავით ნაზი მელოდია...

ეს მელოდია მოაფრქვევს ალმას სიტყვებს: ახალ გარიჟრაჟებით მოთილისმებულნო!..

კვალე... ისწრაფე... ააგრიგალე ოცნებათა რაშები...

მდუღარე იყავ თამამი სურვილებით...

ეძიე... ჭაბუკობა სასწაულმომქმედია...

გამარჯვებით დაგვირგვინდება სწრაფვა...

. . . . . . . . . . . . . . . . .

ტკბილო, ტკბილო ახალგაზრდობავ!..

ჰანრი ბარბიუსი.

# ინტელიგენციის მოვალეობა.*)

— ერთ-ერთი თანამედროვე მელოდრამის გმირმა სახელი გაითქვა იმით, რომ წამ და უწუმ იმეორებდა: „ჩვენ საშუალო საუკუნეების რაინდები ვართო“...

ეს გმირი, ეჭვს გარეშეა, რამდენიმეთ აჭარბებდა, მაგრამ ჩვენი დროის ხალხს სრული უფლებით შეუძლია უთხრას თავის თავს:— „ჩვენ, რომლებიც ვცხოვრობთ განახლების ეპოქაში, უნდა გავხდეთ ამ ეპოქის რაინდები“.

„უნდა“!, მაგრამ რატომ არ ვართ ჩვენ ასეთები? ძველი წყობილება ინგრევა და იშლება, ძველი ცივილიზაციის ასასრული მოახლოებულია. რაღაც სიგიჟის გრიგალი, დიდ კატასტროფების მუდმივი თანამგზევრი, მიქრის ჩვენს ქაოსზე და კაცობრიობა იწყვეტს უზანგებს. ლოღიკისა და გარემოებათა ძალა ჩვენ მიგვაქანებს აუცილებელ გადატრიალებისაკენ.

ძველ ურყევ ტრადიციათა შორის პირველათ უნდა შეირყეს ძველი კულტურისა და ძველი ხელოვნების ტრადიცია, ვინაიდან არტისტებმა და მწერლებმა უკვე დაიწყეს თავისი რევოლიუცია.

* * *

მათ დაიწყეს არა სოციალურ დარგში, რომელშიც ისინი კვლავინდებურად კაპიტალის მონები დარჩენ, და არც სულიერ დარგში, არამედ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტეხნიკურ დარგში.

მათ გამოსჭედეს ახალი სტილი. მათი რევოლიუცია ჯერხნობით მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მათ დიდის სკანდალით დაანარცხეს მიწაზე რამდენიმე ძველი კერპი. ამაოთ ცდილობს საზოგადოება ხელოვნების მსახურთა შორის დაწყებული მოძრაობა განსაზღვროს მყვირალა სიტყვებით: კუბიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, დადაიზმი და სხვ.

ახალი სტილის ახალი ფორმების განსაზღვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მაგრამ ახალგაზრდა ფრანგ ლიტერატორთა უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი ნოვატორობა არ სცილდება გარეგნული ფორმის ფარგლებს და რომ ახალი ლიტერატურის წარმომადგენლები ან რაღაცას წუწუნებენ „ხელოვნებაზე ხელოვნებისათვის“, ანვარდებიან „ფსიქოლოგიურ უკიდურესობაში“ ანდა რჩებიან მომაკვდავ ბურჟუაზიულ სამყაროს მოძველებულ და ნიადაგ დაკარგულ პრინციპების მონებათ. მაგრამ, როცა მათ გულწრფელათ სურთ დემოკრატიულ კაცობრიობის მოძრაობაში ჩაბმა, იმათ ისე უჭირავთ თავი, თითქო ამერიკა აღმოაჩინეს და სრულ უვიცობას იჩენენ იმ საშინელი ბიძგების გაგებაში, რომლითაც გვიმასპინძლდება ცხოვრება და გვაფრთხილებს მიწისძვრის მოახლოების შესახებ. მაგრამ ამ მიწის ძვრის დროს ჩვენ ხომ არ უნდა წავიქცეთ,—ფეხზე უნდა ვიდგეთ ამისათვის ჩვენ სიმტკიცე უნდა შევიძინოთ, გამძლეობა გამოვიჩინოთ!

* * *

დრო არის უფრო ღრმად დაუკვირდეთ მოვლენებს. დე ყველაფერმა იმან, რაც კია საუკეთესო, ღრმა, კეთილშობილი, რაც იმალება ლიტერატურის მსახურის ტვინში და სულში, შეარყიოს მისი გაქვავებული სახე და აიძულოს იგი იცხოვროს ნამდვილი სიცოცხლით, მბრძანებელ ზნეობრივ კანონების თანახმად. მომენტის უდიდეს ამოცანებშია გადაჭრა საკითხის: იყოს თუ არ იყოს ლიტერატურა.

ყველა იმათ, ვინც კი გრძნობს, რომ უფლება აქვს ხელში ეჭიროს კალამი, უნდა მიიხედონ თანამედროვე სოციალური ტრაგედიის არენისაკენ, ინტერნაციონალიზმის ჰორიზონტის ხაზისკენ და განსაკუთრებით მასებისაკენ, საიდანაც გამოვიდა ყველაფერი, თითქმის ყყველაფერი, რაც კია დედამიწაზე დიადი და მშვენიერი. შემოქმედება ან არ აღორძინდება არასოდეს, ან შეიქნება ძვალი ძვალთაგან და ხორცი ხორცაგან გამოღვიძებულ კაცობრიობის.

ეს დაძმობილება ხალხთან გაანაახლებს სისხლს, რომელიც სჩქეფს შემოქმედთა ძარღვებში, ეს დაძმობილება შთაუნერგავს მათ ცოცხალ, კეთილშობილურს სულს.

ხელოვნების წარმომადგენლებმა მრავალი დაძველებული ფორმები დაანგრიეს, მრავალი ბურჟუაზიული თვალები შეურაცყვეს თავისი ნაჯახის გაბედული მოქნევით.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

ჯერ კიდევ მრავალი არსებული „ჭეშმარიტება“ და კერპებია წასაქცევი და დასანგრევი. ამაში მდგომარეობს მოვალეობა მოწინავე ინტელიგენციის, რომელიც უფრო საჭიროებს, მასებს ვიდრე მასები მას.

ლოღიკაც, აზრიცა და შემოქმედებაც უნდა იყოს იმ მუშათა ძალების აღვართქაფებული ზღვის მხარეზე, რომლებიც თავის თავზე მიიღებენ მსოფლიო ბატონობას.

ხალხი კი არ უნდა მივიდეს ინტელიგენციასთან, არამედ ინტელიგენცია ხალხთან.

*) ჰანრი ბარბიუსის ეს წერილი დაბეჭდილი იყო გაზ. „La volonte“-ში, რომელიც პარიზში გამოდის.

# ნოემბერი

მოვიდა იგი ვით ურაგანი,
ჩაგრული ხალხის ავულკანებით;
წელზე ხმალით და ხელში ნაგანით—
ზებერი ქვეყნის შეტორტმანებით.
როს ღამე გავდა შავსა ყალიონს,—
ცაზე გამოჩნდა ის ჩირაღდებით;
და შეეგება ცეცხლის ალიონს
ქვეყანი წითელ ბაირაღებით...
მო და, მერვეჯერ მოდიხარ ჩვენთან
ურაგანივით, მარადო შვიდო!
შენ ნოემბერო, დიდება შენდა!
ზღვასავით ბრაზო, ზღვასავით მშვიდო!

დედაქალაქი. ფილიპე ნარუსუშვილი.

# შვიდ ნოემბერს

მოდის მოჭრის ელვის რაში
მოჯირითობს ელვის ფრთებით
სურს გადასწვას ბოროტება
მწვავე ცეცხლის ნაპერწკლებით.

ყველა მხარეს ჩოჩქოლია,
ყველგან ისმის ბრძოლის ხმები
მუშებს მოაქვთ შვების დროშა,
ხელთ უპყრიათ ბასრი ხმლები,

ხალხი ელავს, ცეცხლებრ ელავს,
ცასა სწვდება მათი ხმები,
მათ ელვაზე, ხმლის ელვაზე
ცახცახობენ ბურჟუები.

ასე იყო ოქტომბერი
ასე სჭედნენ მშრომელთ ბედსა,
მუქთა ხორებს მუსრს ავლებდნენ
არ უხრიდნენ არვის ქედსა.

მაშ უსურვოთ გამარჯვება
მთელი ქვეყნის კომუნარებს,
მათთან ერთათ მშრომელ მასას
წითელ დროშის წითელ ჯარებს.

გ. შინატეხელი.

# ოქტომბერი.

აგზნებულ ცეცხლით
შემოვკალავ,
მთელსა სამყაროს.
მძლეთა-მძლე არის
ჩემი ცეცხლი,
არ განელდება
მანამდის
სანამ—ხარბთა,
ბოროტების,
ბინძური ბუდე
არ ჩაიფერფლის,
ნაცარ-მტვრათ არ
გარდაიქნება,
სანამ ჩაგრული
სამუდამოდ
არ გაიმარჯვებს,
და ბორკილები
მონობისა
არ დაიმსხვრევა,
სანამდის შრომა
სამსოფლიოდ
არ გაიმარჯვებს
და შრომის შვილი
თვის ბატონი
თვით არ გახდება.

შაქრო ნავთლუღელი.

# მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი

(1875—1925)

ვანო ხოჯაბეგოვი არის ხალხიდან გამოსული, ბუნებით უხვი სამხატვრო ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. დაიბადა იგი თბილისში საწყალი ხარაზის ოჯახში, 1875 წ. წყაროს უბანში. მას არსად სწავლა არ მიუღია. 8 წლის ბავშვი მამამ შეგირდათ მიაბარა მეწვრიმალის დუქანში, სადაც ბავშმა თავისით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. აქვე მას შემთხვევა ჰქონდა ენახა ძველი ნახატებიანი ჟურნალები, რომლიდანაც პატარა ვანოს პარკუჭებს აკეთებინებდენ. აი ეს იყო მთელი მისი სკოლა, აქ ბავშვს დაებადა სურვილი ხატვისა და დაიწყო კიდეც ხატვა ფანქრით, რამოდენიმე ხანი ასე მეცადინობდა.

გავიდა კარგა ხანი. ერთხელ იმ სამეწვრიმლოში, სადაც მსახურობდა ვანო, შემთხვევით შევიდა ერთი ადგილობრივი ინტელიგენტი, რომელმაც ნახა ბავშვის ნახატები. ნახატები იმდენად ხელოვნურად იყო შესრულებული, რომ ყურადღება მიაქცია მნახველმა: იკითხა ნახატების ავტორი და როდესაც გაიგო რომ დამხატავი ეს პატარა ბავშიაო, ურჩია მშობლებს: ბავშვი დიდად ნიჭიერია, მიაბარეთ სამხატვრო სკოლაში ისე დატოვება დიდი ცოდო არისო. მაგრამ სად ქონდათ ვანოს მშობლებს ამის საშუალება, როდესაც მისი მამა თვის წვრილშვილს ძლივს არჩენდა. ამის გამგონე ბავშვს თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ ვინ იყო ამისი პატრონ-მფარველი იმ დროს!

გავიდა წლები. ვანო უკვე დაცოლშვილდა. მაგრამ იგი კვლავ ხატავდა, თავისთვის, ყველასაგან მორიდებული. ასე რომ მას თვით მხატვართა წრეშიც-კი არ იცნობდნენ. ეს დიდი ნიჭი აღმოაჩინა მხატვარმა გიგო ზარბაზჩიანმა, რომლის რჩევით ვანომ 1916 წ. პირველად გამოფინა თავისი ნახატები მხატვართა გამოფენაზედ „დიდების ტაძარში". მისმა ნახატებმა მაშინათვე მიიქციეს საზოგადოების და პრესის ყურადღება. ამასთანავე პირველად დაინახეს თვით მხატვრებმაც ამ იშვიათი ბუნებითი ნიჭის სიძლიერე.

მეორედ 1917 წ. კვლავ მიიღო მონაწილეობა „სომეხ მხატვართა კავშირი"-ს გამოფენაზედ ტფილისში. შემდეგ მისი ნახატები გამოფენილი იქმნა საზღვარ-გარეთ, სტამბოლსა და ამერიკაში. ყველგან მისი ნახატები დიდს ყურადღებას იქცევდა. მიუხედავად ყველა ამ გამარჯვებისა უკვე გვიან იყო, ვანოს მრავალტანჯული ცხოვრება მაინც არ გაუმჯობესე-



ქელეხიდან დაბრუნება.

ბულა და როგორც უმეტეს შემთხვევაში ბევრს ასეთს ნიჭიერ ადამიანს წილად ხდომია, მანაც ასე სიდუხჭირით მიაწია სამარის კარამდე, ისე რომ მას ხშირად ქაღალდიცკი არ ქონდა, რომ ეხატნა. 1918 წ. მას მოუხერხეს ხოჯაბეგოვი... 



ჭიდაობა ძველათ

უღებდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვანო რუსთაველის თეატრში შიკრიკათ იყო, მაგრამ იგი აქედან გადიყვანეს „მცირე თეატრში" დარაჯად, სადაც იგი სამსახურის ასრულების დროს გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1922 წელს.

ვ. ხოჯაბეგოვის მხატვრობის თემები იყო „ძველი ტფილისი". მან თავისი ნახატებით გააცოცხლა მეცხრამეტე საუკუნის ტფილისი თავისებური სილამაზით, მის მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-ჩვეულებანი და სხვა, ამ მხრივ მისი ნახატები დიდ მასალას იძლევა ძველი ტფილისის შესასწავლად. როგორც ხელოვანი იგი დიდი ოსტატია ამ დარგში და იშვიათი ნიჭიერების დაღი აზის ყოველ მის ნახატს, რომელნიც ღრმა შთაბეჭდილებას

სტოვებენ თვისი შესრულებით, ხაზმოსმით და კომპოზიციით.

მისი საუკეთესო ნახატებია: „მეტივეები", „ქორწილის მეორე დღით სასაფლაოზედ ცეკვა", „ყოჩების ჭიდაობა", „ცეკვა", „ჭიდაობა", „ყეენობა", „ქეიფი წვერიანის დუქანში", „ქორწილი" „ძველი ბაყალხანა", ჰამქრობა", „ქეიფი", „დასაფლავება".



ცეკვა საფლავზე

„მექელეხეები", და ორი სურათი „მცხეთობაზედ მიმავალნი", 1) „წასვლისას" და 2) მცხეთიდან დაბრუნებისას". და მრავალი სხვა რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია.

ვანოს ნახატების დიდი კოლექცია არის სომხეთში, ერევნის მუზეუმში. ამასთანავე ბევრი ნახატები ვანოსი აქვს ტფილისელ მხატვარს გ. შარბაბჩიანს, რომლის კოლექციიდანაც ჩვენ ჟურნალში ვათავსებთ რამოდენიმე ნახატს. გარდა ამისა ვანოს ნახატები გაყიდულია კერძო პირებზედ, სტამბოლში, ამერიკაში, ტფილისში, ერევანში და სხვაგან.

ვ. ბ—ლი.

---

ხაფო მგელაძე

# გახ-მარო

(გაგრძელება*)

## ლ ე გ ე ნ დ ა

ძველად ჩვენში ოსმალები
ტურფა ქალ-ვაჟთ დაეძებდენ
მათ ხან ნებით შეისყიდდენ
და ხან ძალით იტაცებდენ.
ყოველ წლობით გურიიდან
მიი ეკავდენ ლამაზ ქალებს
და ძვირფასად აფასებდენ
მათ თვალებს და გრძელ დალალებს.
იმ დროს თურმე ერთსა თავადს
ყავდა ტურფა ქალიშვილი
როცა ცოლი მოკვდომოდა
დარჩენოდა ბავშვი ჩვილი.
თვით მოევლო, როგორც დედას
თავის ხელით აღეზარდა
და ამ ქვეყნად საყვარელი
არვინ ჰყავდა იმის გარდა.
როცა ხალხში ერეოდა
ზეცის შვილად ის მოსჩანდა
სიელვარით მზესა სჯობდა
და სინაზით მთვარეს ჰგავდა.
ლექს უძღვნიდნენ მომღერლები
და ლხინის დროს იმღეროდნენ,
მას შესტრფოდენ, უგალობდენ,
მას აქებდენ, მას ამკობდენ!
ღლეობებზე ყ?აწვილები,
როცა ცხენით ჯირითობდენ
ერთმანეთის ქიშპობაში
შორიდან თავს აწონებდენ.
ტურფას მაროს უწოდებდენ,
ყველას რწმენით შეყურებდა
და ბავშური გატაცებით
სიხარულის ყვავილს კრეფდა.
ქება მის გულს სიამაყით
ჯერ კიდევ არ აძგერებდა
მას ეძებდენ, მაგრამ თვითონ
არავისაც არ ეძებდა.
რა ოსმალთა ჩაჩუტებმა
მისი ქება გაიგონეს
მისი მალვით მოტაცება
განიზრახეს მოინდომეს.
შეიკრიბნენ, წამოვიდნენ,
ბევრი აღარ დააყოვნეს,
თან ფართლები წამოიღეს
და ვაჭრობა მოიგონეს.
და გავიდა თითქმის წელი
რა ეს საქმე განიზრახეს,
მაგრამ ქალი მარტოთ-მარტო
ჯერ ვერსად ვერ დაინახეს.

—

ერთხელ როცა გაზაფხულზე
მწვანე მდელო აყვავილდა,
და ლამაზად გაწოლილი
წყლის ტალღები ალივლივდა!
როცა მისი ნაპირები
ვარდ-ყვავილით აფერადდა
როცა მდელოს გაზაფხულის
გრილი სიო უბერავდა.
როს ტიტველი ხის შტოები
მწვანე ფურცლით შეიმოსა,
როცა ვარდზედ იადონი
სტვენდა დილა-საღამოსა,
როს ჩამავალ მზის სხივებმა
მთის მწვერვალებს მიანათა
როს ღრუბლები ალისფერად
აიტყორცნა, აინაკვთა,
როს ნიავმა მაღალ მთიდან
მოაშურა დაბლა ბარსა
ტყეს ეწვია, მიესალმა
მეგობარი მეგობარსა,
გამოვიდა მარო ბაღში
შეჭყურებდა მბრწყინავ დარსა
ყურს უგდებდა ფოთოლთ შრიალს
და ნიავის საუბარსა!..
წითელ ვარდთან მიირბინა
მიეფერა, დაუყვავა,
წასჩურჩულა: შენი სატრფო,
სულ გიმღერებს, არსად წავა!..
ერთი ვარდიც არ მოსწყვიტა
და ხელში არ დაიკავა,
გაიფიქრა: რად დავაჭკნო?
როცა იგი ყვავა, ყვავა!!
ტბის ნაპირიც ინახულა,
დააცქერდა გრძნობით წყალსა,
და ვერცხლისფერ ლამაზ თევზებს
ეტიტინა, ეზაასა.
ფრინველებსაც დაუკვირდა
ევლებოდენ ბარტყებს გარსა,
და უკვირდა როცა სჭვრეტდა
მათ გონიერ ცხოვრებასა!..
მზე ჩავიდა, ჩამობნელდა
სახლში წასვლა დააპირა
ამ დროს ვიღაც გადაუდგა
შიშით ვერც კი დაიყვირა.
ხელი სტაცა, შავი ბურთით
უმალ პირი გაუტენა,
შესვა ცხენზე და მთებისკენ
გააქროლა, გააჭენა!
ამხანაგებს შეურთდა,
გავიმარჯვეთ,—უთხრა,—ჩვენა,
აბა, ჩქარა მივამალოთ,
თუ გვსურს აგვცდეს დევნა, წყენა!..
ცხენს მათრახი გადაარტყეს
და მოკურცხლეს შარა გზაზე,
ზაასობდენ ძვირფას ძღვენზე
და სულთანის საჩუქარზე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „ჩირაღდანი" №№ 15—16.




მიმართვა:

აი, მახე!
შენც შიგ ჩახე:
თუა, ნახე,
შენი სახე!..

# შარადა

ხელი მოვკიდე შარადის
დღეს სულ სხვა რიგათ წყობასა,
მინდა, რომ ავყვე ამ ქვეყნის
ერთგვარ სიხარბის გრძნობასა,

და ხელი ერთად მოვხვით
მთელ საშარადე ფრაზასა,
ზურგი ვაქციო ძველს ადათს,
შარადის წყობის ძველს გზასა,

ცალ-ცალკე საგნის ძებნით რომ
არც სიგრძე ვზომო, არც განი,
თუმც საშარადე სიტყვაა
ბოლოს კვლავ ერთი საგანი.

იფიქრეთ, ხარბი ქვეყანა
თუ რა სურვილით სდნებოდეს!
სთქვით სამი სიტყვით, რომ ეგ თქმა
შარადათ გამოდგებოდეს.

დოსტაქრულ ხერხის გაწევით,
სიტყვების შიგან კრეჭითა,
რომ საძიებელს ძლივს მისწვდეთ
რჩევით, კვლევით და ეჭვითა...

დიახ! რას მოისურვებდა
ერთავად ხარბი სოფელი,
ყოველთ კაცი ცალ-ცალკე
და არა განუყოფელი,

რომ მას მისძღვნოდა საკუთრად
სახარჯავ-სანუკვარათა
ისე, რომ ცოტა ჩვენც გვარგოს:
შევადგენინოს შარადა?!

სამი სიტყვიდან, როგორც ვსთქვით,
შესდგეს ეს წინადადება,
თუმც საჭიროა ზოგ რამის
აქვე გამოცხადება:

ერთი, რომ სურვილის საგანს
ღმერთი უნდა ადგენდეს,
ისეთი რაოდენობით, რომ
მისი მსურველი აშენდეს!

ღმერთი იყვეს ბრჭყვიალა,
ჭურჭელიც ფართო მუცლითა,
რომ ზედ სატენად მსურველი
შესდგეს თუნდ მდევის მუხლითა!

თან ჭურჭლის რიცხვსაც არ ვსა-
ზღვრავთ
და არცა ღმერთისასა:
მიეცეს ერთად იმდენი,
რაც მოთავსდება მისასა.

და ასეთ რაოდენობის
გამომხატველი ცნებითა
ჩვენც დავასრულოთ ის ფრაზა
ასეთის ხელოვნებითა:

ბრუნვები მოვიშველიოთ,
სახელობითი—ჯერადა
და ჭურჭლისათვის კი ჩავყვეთ
სხვა ბრუნვის დასაჭერადა,

დავსვათ ის მოქმედებითში,
მხოლობითი რიცხვისა,
მრავლობითს ჩვენ აქ არ ვიხმართ
მიმართ არც ერთი სიტყვისა.

სიტყვებსაც უნდა შერჩეს
ორი, წინ—საგნის სახელი,
მესამე ზედსართავია,
ოდნობის გამომხატველი;

ისიც სდგას სახელობითში,
ფრაზაც დასრულდეს ამითა,
ხატავდეს ის, თუ ვის რა ჰსურს
აწმყოს ჟამს, ამავ წამითა!!

და შემდეგ უკვე დავიწყოთ
სიტყვათა „სოკრაშჩენია“,
ეს ხომ ამ სამი სიტყვისთვის
წინასწარ განაჩენია.

პირველ სახელი ღმერთის,
ოთხი ასოთი საწერი,
გავყოთ შუაზე და იქით
გავსტყორცნოთ ბოლო ნაჭერი!

ჭურჭელსაც ასე მოვეპყრათ,
ექვსი ასოთი საწერსა,
და შარადაში დავსტოვებთ
სამს, თავით ჩამონაჭერსა.

ბოლოს კი ძირ-ბუდიანად
ზე ამოვაგდებთ იქითა,
და მესამეზე გადავალთ
დოსტაქრულისა რიხითა:

ხუთი ასოთი ნაწერი
ეგ სიტყვა თითქმის სრულათა
ჩვენ აქვე გვინდა, მხოლოთ-და
შუაზე გამოსრულათა,

და შუა ასოს ამოჭრით
ჩვენ შევასრულებთ ამასა,
ამოვჭრით, თუ არ, შარადაც
მზათ არის იმავ წამასა!

მთელი-თვის არის სახელი,
დღესაც გულისხმობს ისევე!
მონების თვის ბატონებზე
იმ დღით დაიწყო მისევა,

გათავდა გაშარჯვებითა
ამ ქვეყნად ახალ ყოფისა,
მოიგერია თავდასხმა
ძველი სამყაროს ცოფისა!..

დღეს მთელ ქვეყანას უქადის
შვების მზეს, შვების მთვარესა,
რომ გაადვილდეს გადასვლა
სოციალიზმის მხარესა!,

ონისიმე.

# სიყვარული პოლიტიკურ ნიადაგზე.

## აქა გარათი ლიზიკოსი იპოლიტეს მიმართ.

ჩვენ რომ ფიცი დავსდეთ ტროფობის
იყო ცხრაას ოცი წელი,
ნეტარებას მპირდებოდი
პორტფელისკენ გქონდა ხელი.
მეც მოგენდე მთელის გულით,
ჩაგაბარე სულის კლიტე,
არაფერი არ მიგაკლე,
შენც კი იცი იპოლიტე.
და რაც ხანი გადიოდა,
შეუღლებას ვიჩქაროდი,
თითქოს რაც რომ მოგელოდა,
იმას წინდაწინვე ვგრძნობდი.
ჩემო კარგო, შენც ხომ გახსოვს,
მე რამდენი გეჩიჩინე,
მსურდა ჯვარი დაგვეწერა,
ვერაფერი შეგასმინე.
მუდამ იმას იძახოდი:
— ცოტა კიდევ მომითმინე,
მაგრამ ამდენი ლოდინი
იყო ჩემთვის მეტად მძიმე.
პოლიტიკის კაცი იყავ,
მიხატავდი რაღაც გეგმებს,
მაგრამ, როცა შენი ძმები
უცხოეთში გაჰყვენ გემებს,
შენც გაიქეც შენი გეგმით,
მიიმალე სადღაც ხევში,
მთელი ორი წელიწადი
დიძკრებოდი ნაჩალევში.
და ხშირ ხშირად წერილს მწერდი
შიგ მიწერდი; „დღეს თუ ხვალე
საქართველო ჩვენი არის,
ფიქრი ნუ გაქვს გენაცვალე“.
მაგრამ ერთ დღეს სხვებთან ერთად
შენც „ჩეკა“-ში გიკრეს თავი
და მაგ შენი ჯიუტობით
ორი წელი იქ დაჰყავი.
და გამოდი როგორც იქნა
შენ და შენთან ბევრი სხვანი,
გადავსწყვიტე: აწ რა მიჭირს
„პლატფორმმა“ და მისი ჯანი.
მაგრამ ჩემი სიყვარული
არ ჩააგდე აღარც ჩირად,
თურმე კიდევ იხსენიებ
კომუნისტებს ცუდათ, ძვირათ.
ყველამ რაღაც გზა მონახა
შენ კი სდგეხარ მარტო, იქეთ,
ჩემი გულის გასახეთქად
არც იქით ხარ, აღარც აქეთ.
თუ ოდნავად გებრალები
დაანებე თავი ბუტვას.
ჩვენს სიყვარულს არას არგებს,
რაც რომ დევდარიანს უთქვამს.
მე ამას გთხოვ იპოლიტე,
შემისრულე გენაცვალე,
[illegible] ზას რომ დავადგამ
დააბრალე.

## აქა გარათი იპოლიტესი ლიზიკოს მიმართ.

მოითმინე, გენაცვალე,
არას გვარგებს აჩქარება,
მე ვფიქრობ, ჯერ ადრე არის
ჩემი მათკენ გადარება.
უსათუოდ, ყველა ნაბიჯს,
რომელსაც ვსდგამთ რამე მიზნით,
ჩვენ სიფრთხილით უნდა ვსდგამდეთ
და ფაქტების ანალიზით.
მე ღრმადა მწამს, პირობები
შეიცვლება დღეს თუ ხვალე,
კიდევ ცოტა დამაცალე,
შემდეგ ვნახოთ, გენაცვალე.
იყავ მტკიცედ, არ შეშინდე
ჩვენი არის მომავალი,
ხოლო თუ არ გაგვიმართლდა,
მაშინ კი ჩავაგოთ ხმალი.

## აქა გარათი განშორებისა.

კიდევ შენსას გაიძახი:
დამიცადე, „დღეს თუ ხვალე“
ამ ლოდინში მე მოვხუცდი
სულ გავეთეთრდი, გენაცვალე!
როგორც გსურდეს, ისე იყავ
და უცადე, ვისაც გინდა,
მე კი ქალი გავნახევრდი,
უკვე ვადა გამივიდა.
სულ ჩამოვხმი შენზე ფიქრით
არც ტანზე მაქვს, აღარც ფეხზე,
რაც ამდენხანს გამაწვალე,
სულ ალალი იყოს შენზე.
მუდამ ოხვრით მოვიგონებ
შენს სიყვარულს, ჩემთვის პირველს
აწ მშვიდობით, კარგათ იყავ
მე მივყვები კომკავშირელს.

ბუშტი.

---

# ნ ი ა ნ გ ს.

(პასუხათ).

არა, არ ვიცი, ნიანგო,
რას გადმეკიდე ჭირათა,
რომ აღარ მომე საშველი
და ლექსებსა მთხოვ ხშირათა!?

ნეტავ, რა გინდა, მოგწერო
საამო, გასახარია,
როს ვერას ვხედ მაგვარსა
და მით გული მაქვს მკვდარია?!

რა ხან ეგრეა, არ იქნა,
არ მომე გასაქანია,
ეხლა მიყურე სეირი—
რამდენს აეწვა კანია:

დიდი, პატარა გაცნობო,
ცუდი რამ საქმის მქნელია;
(მაგრამ კი არვინ დაზოგო,
დღე დააყენე ცხელია!)

ესეც კი არის, ძამიკო,
ჩემი არ გასცე გვარია;
თორემ, გფიცავარ, გამცოცხვენ,
წამცდება (ცრემლთა ღვარია*).

ხომ იცი, თუ რამ გაიგეს,
ატყდება კაცი, ქალია;
სულ ერთი არის, იმათ წინ
მიგიძღვის თუ არ ბრალია!?!

მაგრამ მოგვიკვდე, თუ რომ მეც
მათ ვერ უჩვენო თავია,
ვერ გამოვგზავნო „ბაგაჟათ“
მანდ, თქვენთან, უთვალავია.

— კმარა, ეყოფათ, რაც დღემდის
აიკლეს მთა და ბარია;
ეხლა დრო არის, შეჩერდენ,
საქმე ქმნან გასახარია!!..

ცუდლუტი.

---

# ბ ა თ ო მ ი.

ქალაქია პატარა,
მაგრამ კოხტა, ლამაზი,
ეტლმა მთელ დღეს ატარა,
დუქან დუქან მალხაზი!..

ქუჩებიც ხომ ფართოა,
შემოსილი ბალახით,
გუშინ გრიშამ დათუა,
სულ გასვარა ტალახით..

ზღვაც არის მეტად ახლოს,
მოშიშინე ნაზადა,
ლეომ ფულს ხელი ახლო,
შეჭმაც კი არ დაზარდა!..

ბუნებაც ფერადია
ამ დალოცვილ მხარეში,
რომ ჰყეფს,—ნინოს ხვადია
არ სწამს მისი თარეში!..

ჩამოთოვა მაღალი,
შორით მთების წვერები,
უნდა ვანთო მაყალი
და ვაფიცხო კვერები...

დამწიფდა ფორთოხალი,
მოდიან მყიდველები,
ზოგან დარგეს ახალი
და შესცვალეს ძველები!..

პ. ოხოლდი.

---

*) აფსუსი არის, ვით ცუდლუტს,
მეც შორით შენ ვერ გხვდებოდე,
მე რომ სახუმროს გთხოვდე და,
შენ შეპირებით მკვებავდე!..

ნიანგი.

## შ ე კ ი თ ხ ვ ა

(ხად. შორაპნიდან).

როგორ იყო ჩემო, გრიშავ,
ამას წინ წადი სტუმრათ;
მაგრამ იქიდან წამოდი—
ჩვენს პავლეზე უმადურათ!?!!
სადაც მიხვედ, მოინდომე
ფანჯარაში გადაძრომა,
(ვითომ სხვა კი არა გქონდა
ამის მეტი შენ შეცდომა!..).
შენ-და იღბლათ, პავლე დაგხვდა
ფეხის ალაგში ჩამჯდარი,
და როს ოდნავ თვალი მოკრა,
მიაკეტა იმ წამს კარი?!
მოინდომა, რომ გაეგო
თუ ვინ იყავ ეგრე გმირი,
მაგრამ ბნელში მიიმალე,
რადგან რომ გირცხოდა პირი!?!
ამის შემდეგ. ჩუმათ გსურდა
შენ იქიდან გამოპარვა,
მაგრამ ისე გამოსჩანდი,
როგორც მძივი, როგორც ქარვა!?
ეს იქავე ჩავესაფრა
და გადევნა სტუმარს თვალი;
როს წამოსვლას დაეპირე,
გულს მოედვა ცეცხლის ალი:
— გტაცა ხელი მაგ კისერში,
გამოგკითხა სახელ-გვარი;
მაგრამ წახდი, ვერა უთხარ
და შეიქენ ცოცხალ-მკვდარი?!!
ვეღარ შესძელ რამე გეთქვა,
აგებორგა ენა, პირი;
შემდეგ ისე მაგრათ ჩაგცხო,
რომ აყვირდი, როგორც ვირი!?!
ამ ხმაურზე იქ მოგროვდა
დიდ-პატარა, კაცი, ქალი;
(ალბათ, ეს იმიტომ შეგხვდა,
რომ ბრძანდები მუდამ მთვრალი! *)
სხვის კი არა, შენი ცოლიც,
ცოტა გაკლდა, მიატოვე,
და მისთანა „გამარჯვება"
ჩემს მტერს შეხვდა, შენ რომ ჰპოვე?!
აწი მაინც ჭკუით იყავ
და შეუშვი მაგვარს ხელი,
თორემ გფიცავ, არ აგცდება
„ცოცხი", შენებრ კაცის მგველი!!

**თრითინა.**

*) ოჰ, ნეტავი აცოდინა
თუ როგორ ვარ მაზედ მწყრალი,
და როცა რომ მანდ ჩამოვალ,
ვაი, მაგის ტყავის ბრალი!..

**ნიანგი.**

## უძღვნი სუფსის მონარდეებს.

ბევრი დასცინის ამ ჩვენს ხასიათს
მაგრამ ჩვენ მათი არა გვაქვს დარდი.
გავათამაშებთ ჩერვონეციანს
გვიყვარს ჯიბრობა, გართობა ნარდით.
ზოგი თამაშობს, ზოგიც მათ ვუცქერთ,
ვფიქრობთ, რომელთან მოგვივა ჯერი,
და ვინც წააგებს, ვცინით, ნიშნს ვუგებთ,
ვყვირით, ვხარხარებთ, ზანზარებს ჭერი.
თუ ხან ვლონდებით, სამაგიეროთ,
ხან ვმხიარულობთ, ვიძახით—„ვაშა"!
(კარი გახსენი შენ, კადნიერო,
ხომ ხედავ „დუსეს", სად ითამაშა!..)
ვინც რა უნდა სთქვას, ჩვენც ხომ მუშა ვართ,
კიდეც ვამაყობთ მკლავების გარჯით,
თავისუფალ დროს ამფსონთ ვუყვარვართ
როცა ვერ გავალთ ვოლი ხარჯით.
გვიყვარს ქეიფი და ყავახანა,
ზარის ტალღები გადაშლილ ნარდზე,
სასაცილოა ჩვენთვის ქვეყანა
და არას ვზრუნავთ ხვალინდელ დარზე.

**ჩახუნდარიძე.**

„კომუნისტი"-ს ყველა ხელის მომწერლებს
დაურიგდება უფასოდ დამატებები
ჟურნალი „ჩირაღდანი" 2 ნომერი თვეში
ჟურნალი „მეცნიერება და ტეხნიკა" 2 ნომერი თვეში
ხელის მოწერის პირობები
ერთი თვით პროფკავშირის წევრებისათვის თბილისში და პროვინციაში 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში—1 მან.; პროვინციაში 1 მან. 20 კაპ.

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, წულუკიძის ქ., № 4. შეკვ. № 242. მთავლ. № 1821. ტირაჟი 16.000